

# პიონერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 3 15 თებერვალი 1931 სახელმწიფო გამომცემლობა ტფილისი

# პ ი ო ნ ე რ ი

**პიონერების და მოსწავლეთა საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი.**

საქართველოს ა. კ. ლ. ცენტრალური ბიუროს და განათლების სახალხო კომისარიატის სოციალური აღზრდის მთავარმართველობის ჟურნალი—ბავშვთათვის.

№ 3

15 თებერვალი
**1931**
წელიწადი მე-6
რედაქციის მისამართი:
ტფილისი, რუსთაველის პრ. № 22.
სახელგამი,
საბავშვო სექცია


## შინაარსი:


— იზრდება და ძლიერდება ნაციონალურ რესპუბლიკათა კომკავშირი.
— საგაზაფხულო თესვა და პიონერთა ამოცანები: **ერ. ასტვაცატუროვი.**
— ბოლშევიკური სიტყვა: **არმენ აკოფოვი.**
— ხელები შორს მაქსიმ გორკისაგან.
— საკ. ქ. კ. მე-9 ყრილობის მიმართვა მაქსიმ გორკისადმი.
— ევროპავ, უარჰყავ ძველი, ან მოკვდი: **რომენ როლანი.**
— სოფლის პიონერებს: **ტრიფონ რუხაძე.**
— ფოლადის მკეთებელი პოეტი.
— ქუდი: **ბეზიმენსკი.**
— გაზეთი: კორესპონდენციები.
— მაქს ჰელცი „პიონერი“-ს რედაქციაში.
— ავიღოთ მაგალითი ლენინგრადის პიონერ - ორგანიზაციიდან: **ანგია.**
— ჩახუნდარა: **პანტ. ჩხიკვაძე.**
— რა არის პოლიტექნიზმი.
— პოლიტპატიმართა წამება პოლონეთში.
— უცხო ელემენტი: **გრიშა ესებუა.**
— **ნარევი.**




3-47.

# იზრდება და ძლიერდება ნაციონალურ რესპუბლიკათა კომკავშირი

**კამათში საკავ. კომკ. ცეკას ანგარიშის გარშემო მონაწილეობა** მიიღო ამ.-კავ. დელეგაციის წევრმა, საქართველოს კომკავშირის ცეკას მდივანმა **ამხ. ბუჯიაშვილმა.**

**ამხ. ბუჯიაშვილმა სთქვა:**

„ამხანაგები რომელნიც გამოდიოდენ აქ, აცხადებდენ, რომ თითოეულმა ჩვენგანმა მოიტანა ამ ყრილობაზე მრავალი ისეთი ციფრი და ფაქტები, რომელიც ამტკიცებენ და აშკარავებენ კომკავშირის უდიდეს მიღწევებს ჩვენი პარტიის გენერალური ხაზისათვის ბრძოლაში, აგრეთვე ჩვენი აღმშენებლობის მაღალი ტემპებისათვის ბრძოლაში; მხოლოდ ჩვენდამი მტრულად განწყობილი ელემენტები, მხოლოდ ისეთი ადამიანები, რომელნიც დაავადებული არიან ოპორტუნიზმით და რომელთაც შეეშინდათ სიძნელეების, ვერ ხედავენ ჩვენი პარტიის და კომკავშირის მიღწევებს. მხოლოდ მათ არ შეუძლიათ დაინახონ ის უდიდესი სოციალური, ეკონომიური და კლასიური ცვლილებები, რომელიც მოხდა ჩვენს ქვეყანაში. ოპორტუნისტების და ორჭოფების ამ ცილისწამებაზე საუკეთესო პასუხს წარმოადგენს ის მდიდარი ფაქტიური მასალა, რომელიც გაშუქებულ იქნა ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვებსა და მოხსენებებში. მე უნდა ვთქვა, რომ ჩვენი ყველა გადამწყვეტი წარმატება თანაბრად საინტერესოა ნაციონალური **განაპირა კუთხეებისა** და რესპუბლიკებისათვის. მართალია ამხ. ჯავახიძე, რომელიც აღნიშნავდა, რომ ჩვენი პარტიის სწორი ნაციონალური პოლიტიკის საფუძველზე და ყოველგვარი ნაციონალისტურ გადახრის წინააღმდეგ დაუზოგველი ბრძოლით არსებითად იცვლება ნაციონალური განაპირა კუთხეების და ოლქების სამეურნეო, პოლიტიკური და კულტურული დონე. მართლაც, ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ ვითარდება ჩვენი მრეწველობა, როგორ შენდება რკინის გზები, ახალი ელსადგურები, თვალსაჩინო კოლმეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი, როგორ ტარდება საყოველთაო პირველდაწყებითი სწავლება და იქმნება კადრები ძირითად ეროვნებებისაგან. ყველა ეს წარმატება გვიჩვენებს ახლანდელი ქალაქის და ახლანდელი ნაციონალური სოფლის სახეს.

ეს წარმატებები მიღწეულია ბრძოლაში, რომელიც სწარმოებდა პარტიის გენერალური ხაზიდან ყოველგვარ გადახრების — ველიკოდერჟავონიკული შოვინიზმის და ადგილობრივი ნაციონალიზმის წინააღმდეგ. ჩვენი პარტიის ნაციონალური პოლიტიკის სწორად გაშლის საფუძველზე და შეურიგებელი ბრძოლის წარმოებით ადგილობრივი ნაციონალიზმის და გადახრების წინააღმდეგ, რაც უნდა ხდებოდეს ნაციონალური კულტურის დაჩქარებული აღმშენებლობის გზით (ნაციონალური კულტურა ბოლშევიკური გაგებით), ჩვენ კიდევ უფრო განვამტკიცებთ ნაციონალურ ოლქებს და მათ სამეურნეო სიძლიერეს. არ არის შორს ის დრო, როდესაც ისინი სამეურნეო - პოლიტიკური მხრივ გვერდში ამოუდგებიან საბჭოთა კარაიონებს.

ტრიალურად განვითარებულ ვშირის მოწინავე და ინდუს-



საკ. კ. კ. ცეკას გენერალური მდივანი
**ამხ. კოსარევი**

ნაციონალური რესპუბლიკების და ოლქების სამეურნეო და კულტურულ ზრდასთან ერთად იზრდება კომკავშირის ორგანიზაცია. კომკავშირი თამაშობს წამოწყების როლს სოციალისტური აღმშენებლობის და დამკვრელობის ყველა ფრონტზე. ის იყო წამომწყები სოც. შეჯიბრების და დამკვრელობის. ჩვენ კიდევ შორს ვართ იმისაგან, რომ შევადაროთ ჩვენი წარმატებანი საბჭოთა კავშირის მოწინავე ორგანიზაციების წარმატებებს, მაგრამ მაინც გვაქვს თვალსაჩინო მიღწევები. სამეურნეო აღმშენებლობის საკითხები ნაციონალური ორგანიზაციათა მუშაობის პროცესში უკვე დასმულია უჯრედთა და კომიტეტების ყურადღების ცენტრში. ჩვენ შორს ვართ კომკავშირის მოწინავე ორგანიზაციათა მუშაობის ფორმების ნაციონალურ ორგანიზაციებში მექანიკურად გადატანის თეორიისაგან. ეს ნიშნავს იმას, რომ მიმდინარე პერიოდში, განსაკუთრებით კომკავშირის ცეკას ნოემბრის პლენუმის შემდეგ, აღმშენებლობის საკითხებს ეძლევა უმთავრესი მნიშვნელობა ჩვენ უჯრედთა და კომიტეტთა მუშაობის პროცესში, ეს ნიშნავს იმას, რომ სამეურნეო და კულტურულ აღმშენებლობაში ახალგაზრდობის აქტიურად ჩაბმის ამოცანები უნდა გადაიქცეს ძირითად საკითხად კომკავშირის მუშაობაში. ამის მიხედვით ჩვენი რესპუბლიკების კომკავშირის ორგანიზაციების ხვედრითი წონა თვალსაჩინოდ გაიზარდა. ამიტომ შეცდომაში ვარდება ზოგიერთი ამხანაგი და მათ შორის ამ.-კავკ. ორგანიზაციათა ზოგიერთი წევრიც, რომელნიც ამტკიცებენ, რომ ნაციონალური ორგანიზაციების პირით შემობრუნება სამეურნეო ამოცანებისადმი კიდევ დამთავრებული არ არის. ეს ამხანაგები, რომელნიც მიზეზად აყენებენ ნაციონალური რესპუბლიკების და ოლქების სპეციფიურ თვისებებს, ცდილობენ მნიშვნელობა დაუკარგონ იმ დიდ მუშაობას, რომელიც ჩაატარეს ნაციონალურმა ორგანიზაციებმა, და სურთ გამოჰყონ ნაციონალური ორგანიზაციები მთელი საკავშირო კომკავშირიდან. ასეთ განწყობილებებს სასტიკი წინააღმდეგობა უნდა გაეწიოს, ვინაიდან ისინი აფერხებენ ნაციონალური ორგანიზაციათა მუშაობას, რომელიც მიმართულია იმისაკენ, რომ მიაღწიონ უფრო მაღალ საფეხურებს და შეიარაღდენ იმ ტემპებით, რომელთაც მოითხოვს მთელ ფრონტზე სოციალიზმის გაშლილი შეტევის პერიოდი.

მე ახლა მინდა შევჩერდე შემდეგ პრაქტიკულ საკითხზე, სახელდობრ — სასოფლო რაიონების განმტკიცების საკითხზე. თუ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ოლქების ლიკვიდაციის შემდეგ მივაღწიეთ რაიონს, როგორც სოციალისტური აღმშენებლობის საკვანძე პუნქტის მნიშვნელოვან განმტკიცებას.

მართალია, ჩვენ მობილიზაციის წესით დავნიშნეთ 600 კომკავშირელი სოფლის რაიკომების მდივნებად, ჩამოვაყალიბეთ გადასამზადებელი კურსები და მრავალი სხვა, მაგრამ ჩემი აზრით, ჩვენი ხელმძღვანელი ორგანოები, და მათ შორის საქ. კომკავშირის ცეკაც, ჯერ კიდევ ვერ მიუდგენ თითოეული რაიონის შესწავლას ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული პირობების თვალსაზრისით. უნდა აღინიშნოს ცენტრალური კომიტეტის საინსტრუქტორო აპარატის სისუსტე ამ თვალსაზრისით. ჩვენ მომავალშიც უნდა გავგზავნოთ მუშა-კომკავშირლები სოფლად, უნდა დაუსვათ საკითხი, რომ უშუალოდ დაუახლოვდეთ რაიონების შესწავლას, პრაქტიკული და დიფერენციული ხელმძღვანელობა გავუწიოთ მათ. მე უნდა განვაცხადო, რომ ამ მხრივ განსაკუთრებით ცუდ პირობებში არიან პატარა რესპუბლიკები და ოლქები, ცოცხალი კავშირი საკ. ა. ლ. კ. კ. ცეკას მხრივ რაიკომებთან აშკარად არა საკმაოა.

ახლა ეროვნული აქტივის შესახებ. ეროვნებათა რევოლუციონური აღზრდის საქმეში აშკარა მიღწევებთან ერთად ჩვენ მრავალი ნაკლიც გვაქვს. მთავარი ნაკლია ასაკ გადაცილებულთა სიმრავლე აქტივში (70-80 პროცენტი). მე ვფიქრობ, რომ ის შიში, რომელსაც იჩენენ ახალი აქტივის საპასუხისმგებლო თანამდებობაზე დანიშვნის საქმეში, უნდა გადავლახოთ და ნაციონალური აქტივის მომზადების საქმეს ენერგიულად მოვკიდოთ ხელი".

შემდეგ ამხ. ბუჟიაშვილი შეჩერდა იმ გაკვეთილებზე და გამოცდილებაზე, რომელიც მიიღო ა-კავკასიის ორგანიზაციამ მემარჯვენე - „მემარცხენე" ბლოკთან ბრძოლის დროს. „ცნობილია, — ამბობს ბუჟიაშვილი, — მემარჯვენე - „მემარცხენე" ბლოკის აღმოჩენის პერიოდში საოლქო კომიტეტმა ვერ შესძლო ამ-კავკასიის ორგანიზაციის მობილიზაციის თავის დროზე ჩატარება ამ ბლოკთან ბრძოლის წარმოების მიზნით. კიდევ მეტიც — ლომინაძის მუშაობის პერიოდში, როცა ის ფარულად ატარებდა ანტიპარტიულ შეხედულებებს, საოლქო კომიტეტის ყოფილი ხელმძღვანელობა სათანადო სიფხიზლით და ყურადღებით ვერ მოეპყრო ლომინაძის დებულებებს.

ამის შედეგად მივიღეთ ის, რომ, როცა ბლოკი გამომჟღავნდა, საოლქო კომიტეტის ხელმძღვანელობა დაიბნა და სათავეში ვერ ჩაუდგა ძირეული მასების აქტივობას ორ ფრონტზე ბრძოლის საწარმოებლად, და მათ შორის მემარჯვენე „მემარცხენე"— ბლოკის საწინააღმდეგო ბრძოლას.

მიუხედავად ხელმძღვანელობის მიერ დაშვებული შეცდომებისა, ამ-კავკასიის კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ერთხელ კიდევ დაამტკიცეს თავისი ერთგულება ბოლშევიკური პარტიისადმი, შემოკრიბეს რა საკ. ალკკ ცეკას ხელმძღვანელობით თავისი მასები სირცოვ - ლომინაძის ორპირულ მემარჯვენე - „მემარცხენე" ბლოკთან საბრძოლველად".

დასასრულ ამხ. ბუჟიაშვილი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ საჭიროა კომკავშირული რიგების კლასიური სიფხიზლის შემდგომი გამახვილება და შეურიგებლობის განმტკიცება ყველა ჯურის და ხასიათის ოპორტუნიზმის წინააღმდეგ.



დამკვრელი კომკავშირელები ქარხანაში



ამხანაგებო, ავაგოთ დირიჟაბლი

# საგაზაფხულო თესვა და პიონერთა ამოცანები

უკვე დაიწყო მოსამზადებელი მუშაობა საგაზაფხულო სასოფლო - სამეურნეო კამპანიის ბოლშევიკურად ჩატარებისათვის. ამ კამპანიას, რომელიც ტარდება ხუთწლედის მესამე გადამწყვეტ წელს, განსაკუთრებული და უაღრესად დიდი სამეურნეო და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს.

ხუთწლედის მესამე გადამწყვეტმა წელმა სოფლის მეურნეობაში **გრანდიოზული** გარდატეხა უნდა მოახდინოს, სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხი სოციალისტური მიწათმოწყობის სასარგებლოდ უნდა გადასწყვიტოს, ე. ი. თუ ქალაქის მრეწველობაში ხუთწლედის ორი წლის შედეგად ჩვენ გადამწყვეტ გამარჯვებას მივაღწიეთ, რაც იმაში მდგომარეობს, რომ საკითხი „ვინ-ვის“ (სოციალიზმი გაიმარჯვებს, თუ კაპიტალიზმი) აქ უკვე სოციალიზმის სასარგებლოდ გადაწყდა, — ხუთწლედის მესამე გადამწყვეტ წელს ასეთსავე გადამწყვეტ, საბოლოო გამარჯვებას უნდა მივაღწიოთ სოფლის მეურნეობის განვითარებაშიაც. ამ საქმეში კი გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიამ უაღრესად მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშოს, რაც დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად წარმატებით ჩავატარებთ მას.




— გზა მომეცით, თორემ!..

საგაზაფხულო სასოფლო - სამეურნეო კამპანიის დროს ფართედ უნდა დავრაზმოთ მოჯამაგირე, ღარიბესი და საშუალო გლეხობა კოლმეურნეობებში და გასული წლის საშემოდგომო სასოფლო - სამეურნეო კამპანიის დროს ამოძრავებული მშრომელი გლეხობის ახალი ტალღები მთლიანად უნდა მოვაქციოთ კოლექტიურ მეურნეობებში — არტელებში.

ამასთან ერთად გაზაფხულის სასოფლო - სამეურნეო კამპანიის წინაშე დგას სხვა მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი ამოცანები — **ნათესი** ფართობის გადიდების, ტეხნიკური კულტურების, მესაქონლეობის განვითარების და სხვა. აღნიშნული ამოცანების გადაწყვეტის საქმეში პიონერთა ორგანიზაციების ფართე მონაწილეობას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს, მათ შეუძლიათ აქტიური და ენერგიული მუშაობის ჩატარება პრაქტიკულად, რაზეც ქვემოდ შევჩერდებით და რასაც განსაკუთრებული როლი შეუძლია ითამაშოს აღნიშნული კამპანიის ბოლშევიკურად ჩატარების საქმეში.



საგაზაფხულო ხვნა

**1931** წლის გაზაფხულისათვის, გეგმის მიხედვით, ნათესი ფართობი უნდა გადიდდეს **759,490** ჰექტარამდე, რაც გვიჩვენებს წარსულთან შედარებით **115,890** ჰექტარით ზრდას. ტექნიკური კულტურების ფართობის გადიდება განზრახულია **127,572** ჰექტარით, კერძოდ ბამბის ფართობი გაიზრდება **20,000** ჰექტარით, ვენახის **14,000** ჰექტარით, სოიას **100,000** ჰექტარით.

გეგმით გათვალისწინებულია ღარიბ - საშუალო გლეხობის **25-30** პროც. კოლმეურნეობებში გაერთიანება. რაც ნიშნავს კულაკობის შეზღუდვისა და შევიწროების შემდგომ გაძლიერებას და მტკიცე პირობების შექმნას კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციისათვის მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე.

ყველაფერი ეს გამოიწვევს კლასობრივი მტრის გააქტივებას და წინააღმდეგობას საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის წარმატებით ჩატარების წინააღმდეგ; ისინი შეეცდებიან ხელი შეგვიშალონ და ჩაშალონ სოციალისტური მიწათმოწყობის გრანდიოზული გეგმები. ამრიგად, მიმდინარე კამპანია კლასობრივ წინააღმდეგობათა გაძლიერების პირობებში ჩატარდება, რასაც სათანადოდ მომზადებული უნდა შევხვდეთ, რომ ერთხელ და სამუდამოდ გავტეხოთ წელში კლასობრივი მტრები — კულაკები — და გავანადგუროთ მათი გამოხატულება — მემარჯვენე და „მემარცხენე“ გადახრები პარტიაში, კომკავშირში და ყველა სხვა ორგანიზაციაში.

საგაზაფხულო სასოფლო - სამეურნეო კამპანიის დროს სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს შრომისტევადი კულტურების განვითარებას, რისთვისაც ხელისუფლება დიდ თანხებს იღებს.; ამ შემთხვევაში განსაკუთრებული როლი ეკისრებათ საბჭოთა მეურნეობებს და კოლმეურნეობებს. საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები, როგორც საერთოდ სასოფლო - სამეურნეო კამპანიის, ისე შრომისტევადი კულტურების განვითარების საქმეში მაგალითის მიმცემი უნდა იყოს და დაარწმუნოს მოსახლეობა განსაზოგადოებული შრომის უპირატესობაში.

„საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების ნათესი ფართობის გადიდებამ, არსებული და ახლად მოწყობილი სამანქანო - სატრაქტორო

სადგურების მუშაობამ, აგრეთვე სასოფლო - სამეურნეო საწარმოო კოოპერაციის ზრდამ და განმტკიცებამ უნდა უზრუნველჰყოს ტექნიკური კულტურების საგაზაფხულო სათესი ფართობის გადიდება 195 პროცენტით, ხოლო საერთო სათესი სივრცის — 18 პროცენტით. ამასთანავე სოციალისტური სექტორის ხვედრითი წონა უნდა გაიზარდოს 34 პროცენტამდე, მათ შორის ტექნიკური კულტურების — 55 პროცენტამდე".

რას ნიშნავს ეს? — ეს იმას ნიშნავს, რომ საგ. სას.-სამ. კამპანიის დროს ფართედ გავშალოთ სოციალისტური შეტევა სოფლის მეურნეობის ყველა დარგში. ამ შემთხვევაში პიონერთა ორგანიზაციების პრაქტიკულ და საპროპაგანდო მუშაობას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს.

პიონერთა ორგანიზაციების მუშაობა მჭიდროდ უნდა იყვეს დაკავშირებული და გამოდიოდეს საერთოდ სოფლად მუშაობის და ცალკე ორგანიზაციების წინაშე მდგარი ამოცანებიდან. პიონერორგანიზაციებ მჭიდროდ უნდა დაუკავშირდენ კომკავშირის ორგანიზაციებს და მათი უშუალო ხელმძღვანელობით აწარმოებდენ მუშაობას.

ჩვენ დაკვრითი წესით უნდა ვაწარმოოთ მოსამზადებელი მუშაობა, რადგან მოსამზადებელი მუშაობის ბოლშევიკურ ჩატარებაზეა დამოკიდებული თესვის კამპანიის ბოლშევიკურად ჩატარება.

გასულ წელს ზოგიერთ რაიონში, სადაც მოსამზადებელი მუშაობა სუსტად ჩატარდა, თესვის კამპანია საფრთხის წინაშე იდგა. რომ თავიდან ავიცილოთ ასეთი საშიშროება, საჭიროა მოსამზადებელი მუშაობა დროზე დავიწყოთ და ფართედ გავშალოთ.

მაგრამ, რადგანაც საგაზაფხულო სასოფლო - სამეურნეო კამპანიის წარმატებით ჩატარება და ხელმძღვანელობა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, როდესაც თითეული რაიონისათვის გარკვევით იქნება ჩამოყალიბებული კამპანიის ამოცანები და მასები გამოიჩენენ ინიციატივას და აქტივობას, — ამიტომ ფართოდ უნდა იქნეს გაშლილი საზოგადოებრივი მუშაობა და ქვევიდან მომდინარე მასების ინიციატივასა და აქტივობას გაეწიოს მეთაურობა, რისთვისაც გამოყენებულ უნდა იქნეს მუშაობის ყოველგვარი ფორმა და მასების თვითშემოქმედება ამ უდიდესი ამოცანების გარშემო უნდა დავრაზმოთ.

## ბოლშევიკური სიტყვა

ჰა, გაზაფხულის სიომ დაჰბერა,
გადაფურჩქნილა ხეხილი დღესაც;
გულს სიხალისე მოუმატნია,
საგაზაფხულო იწყება თესვა.
დაჭიმულია ჩვენი ძარღვები,
მთელი ძალები თესვას უნდება;
ჩვენი სიმღერაც პიონერული
ბოლშევიკურად აგუგუნდება.
ჩვენ არ გვიგვრძნია შრომაში დაღლა,
საქმე გვიტაცებს ენტუზიასტებს.
ახლა თესვისთვის ტემპი მაღალი,—
და პროცენტები უფრო იმატებს.
როგორ შევჩერდეთ, როცა მინდვრიდან
ბოლშევიკური მოდის ხმაური.
ხოლტი ცეკვაობს, ყამირ მიწაზე
მას გაუმართავს დღესასწაული.
მაშ, დრო არ იცდის, თესვა იწყება,
ჰა, გავაკეთოდ საქმე გმირული
ბოლშევიკური თესვის გულისთვის
ბრძოლა გავმართოთ თავგანწირული.
დაჭიმულია ჩვენი ძარღვები,
ჩვენი ძალები თესვას უნდება;
ჩვენი საქმე და ჩვენი სიმღერა
ბოლშევიკურად აგუგუნდება.

არმენ აკოფოვი

აქ ყველა ორგანიზაციამ, და მათ შორის პიონერთა ორგანიზაციამაც, ფართედ უნდა გამოიყენოს სოციალისტური შრომის ყოველგვარი ფორმა.

პიონერორგანიზაციებმა უნდა გაშალონ სოციალისტური შეჯიბრი, დამკვრელობა, საზოგადოებრივი ბუქსირი და შემხვედრი გეგმა. პიონერთა ორგანიზაციებმა საზოგადოებრივ ბუქსირზე უნდა აიყვანონ ჩამორჩენილი კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და პიონერთა სხვა ორგანიზაციები, რომლებიც არაფერს აკეთებენ და ჩამორჩებიან მუშაობის ტემპებით.

პიონერთა კოლექტივებმა თესვასთან დაკავშირებით უნდა მოაწყონ კულტლაშქრობა, სოფლებში და უბნებში გაგზავნონ ბრიგადები, რომლებიც ახსნა - განმარტებით მუშაობას ჩაატარებენ კამპანიის პოლიტიკური და სამეურნეო მნიშვნელობის გარშემო.

ამასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ მოსამზადებელ პერიოდში თესლის დამზადების საქმეს, რადგან ეს მეტად მნიშვნელოვანი საქმეა — თესლის დაუმზადებლობა ხელს შეუშლის თესვის კამპანიის წარმატებით შესრულებას. კულაკური მეურნეობიდან 100 პროცენტით უნდა დავამზადოთ გეგმით გათვალისწინებული თესლი და ა. შ.

პიონერებმა საკუთარ ოჯახებშიც უნდა აწარმოონ მუშაობა და პრაქტიკული მაგალითი უჩვენონ სხვა საშუალო და ღარიბეს გლეხებს.

პიონერთა ორგანიზაციები მტკიცედ უნდა იბრძოდენ საგაზაფხულო სასოფლო კამპანიის ბოლშევიკურად ჩატარებისათვის!

ერ. ასტვაცატუროვი



კოლმეურნეები სათესლე ფონდს აბარებენ

# ხელები შორს მაქსიმ გორკისაგან



ჩვენი სასიქადულო მწერალი
მაქსიმ გორკი

„კაპიტალის სხეულის ყოველი ნასვრეტიდან სწვეთს სისხლი და სიბინძურე".

„თუ მტერი არ ნებდება, ის უნდა გაანადგურო".

მაქსიმ გორკი

ღმუის, დორბლებს ჰყრის, იგინება, ილანძღება ბურჟუაზიული და სოც.-დემოკრატიული პრესა. აძაგებს, სთითხნის, ნაგავში სვრის მსოფლიოს უდიდეს მწერალს, თანამედროვე კულტურის ერთ-ერთ ბუმბერაზ ფიგურას — ამხ. მაქსიმ გორკის. რამ გააწიწმატა ალვირახსნილი, მოსყიდული, გათახსირებული, როსკიპი, ბურჟუაზიულ სოციალ - ფაშისტური პრესა? რამ აიძულა სინდისგარეცხილი ხალხი თავისი ბინძური ხელები აეშვირათ მსოფლიო ინტელიგენციის ამ სინდისის წინააღმდეგ?

მაქსიმ გორკი — გაბედული დამცველი, ერთგული მეგობარია მსოფლიოს მშრომელთა ერთადერთი სამშობლოს — საბჭოთა კავშირის. და როდესაც, ამ სოციალისტურ სამშობლოს იმპერიალიზმის ყვავ - ყორნები თავს დასჩხავიან, ემზადებიან მისი ცოცხალი სხეულის დასაგლეჯად, მაშინ მაქსიმ გორკი მტკიცედ და მრისხანედ იმაღლებს ხმას: „და ესე აუცილებელი მომავალით საბოლოოდ გონებაშერყეული ევროპის კაპიტალისტები მაინც გაკადნიერდებიან გამოგზავნონ ჩვენს წინააღმდეგ თავიანთი მუშები და გლეხები, საჭიროა ამას საპასუხოდ შეეგებოს ისეთი დარტყმა სიტყვით და საქმით, რომელიც კაპიტალს გადასჩეხავს ისტორიის მიერ მისთვის სრულიად დროულად გათხრილ სამარეში" — ამბობს ის.

როცა დამპალი, დაძმარებული კაპიტალიზმის მოსყიდული „სწავლული" ყურმოჭრილი მონები — ბურჟუაზიული ინტელიგენცია — გამოდიან და ფარისევლურად, უსინიდისოდ იცავენ მავნებლებს, რომლებიც ყაჩაღურად შემოპარულნი ჩვენს ოჯახში, აწყობდნენ მილიონი მუშების და მშრომელთა, ქალებისა და ბავშვების შიმშილობას, ანდა მათთვის უღრმესი თავხედობით ამზადებენ პირუტყვის სქესობრივი ორგანოებიდან საჭმელს, — ამ დროს მაქსიმ გორკი დაუნდობლად ააშკარავებს მოღალატეთა დამცველებს: „ისინი ხელოვნურად ქმნიდნენ საბჭოთა ქვეყანაში სასურსათო შიმშილს,—ამბობს მ. გორკი,—ყოველივე ის სიბოროტე და საზიზღრობა, რასაც ისინი სჩადიოდენ, მიმართული იყო იმისაკენ, რომ ჩაეშალათ საბჭოთა ხელისუფლების მუშაობა მეურნეობის განვითარების დარგში; შეექმნათ საბჭოთა კავშირში ქაოსი და გამოეწვიათ მშრომელთა მასებში, განსაკუთრებით კი გლეხობაში, უკმაყოფილება საბჭოთა მთავრობისადმი. ყოველივე ამას სჩადიოდენ ისინი იმ რუს კაპიტალისტების ხელმძღვანელობით, რომლებიც გაიქცენ რუსეთიდან, ჰპოვეს თავშესაფარი ევროპაში, უმთავრესად პარიზში, და რომლებიც ცდილობენ აღადგინონ თავისი ბატონობა საბჭოთა ქვეყნის მუშათა კლასზე და მშრომელ გლეხობაზე".

როდესაც ყველასათვის აშკარა ხდება, რომ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის და ინტერვენციის სამზადისში აქტიური როლი, ზოგ შემთხვევაში კი თაოსნობაც სოციალ-ფაშისტებს ეკუთვნის, მაშინ მაქსიმ გორკი ებრძვის მათ მთელი სიმძაფრით, ამჟღავნებს მათ „საქმეებს საგმიროს", ატიტვლებს მათ მშრომელთა წინაშე.

მძიმე და ნარეკლიანია ჩვენი გზა. სიძნელეები ბევრი გვაქვს. ჩვენ ღარიბ, ჩამორჩენილ ქვეყანაში ვაშენებთ და ავაშენებთ კიდევაც სოციალიზმს. აბა ასეთ დაჭიმულ შეუპოვარ ბრძოლა-მშენებლობის დროს, როდესაც შეიძლება მშრომელთა ზოგ ფენას გაუჭირდეს დიდი იდეალებისათვის მძიმე ჭაპან წყვეტა, აბა ვინ ჰყავს ჩვენს ქვეყანას უკეთესი მეგობარი, რომელიც თავისი ალტაცებით, სიამაყით აღსავსე სიტყვებით, კიდევ უფრო მეტ ენერგიას, ენტუზიაზმს, სიმტკიცეს შემატებს შემოქმედებით მუშაობაში ჩაფლულ მშრომელთა.

„მუშათა კლასმა დაისახა გრანდიოზული ამოცანა. თავისი დიქტატურის 13 წლის მანძილზე მან თითქმის უიარაღომ, შიშველმა და მშიერმა გააძევა თავისი ქვეყნიდან თეთრებისა და ინტერვენტების ჯარები, მან ჯოჯოხეთურ პირობებში შესძლო გასაოცრად დაეჭიმა რევოლიუციონური სასწაულმოქმედი თავისი ენერგია.

კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს მშრომელი მასების პოტენციონალური ენერგიის ასეთი სწრაფი განვითარება და არ ახსოვს ამ ენერგიის კინეტიურ, აქტუალურ, შემოქმედებითი ენერგიად გარდაქმნის ასეთი ძლევამოსილი პროცესი",—ამბობს მაქსიმ გორკი.

მაქსიმ გორკის უანგარო მეგობრობა პროლეტარიატის საისტორიო საქმის სოციალიზმის მშენებლობისადმი,—ეს დამატებითი ფაქტორია ამ საქმის უფრო სწრაფად გამარჯვებისა.

აი, რატომ სძაგთ მაქსიმ გორკი, გორკი—დაუძინებელი მტერი ექსპლოატატორების, მათი წყობილების დამცველების, მათი აგენტებისა მშრომელთა რიგებში—სოციალ-დემოკრატების, გორკი—გაშმაგებული მებრძოლი ახალი ცხოვრებისათვის, განახლებული კაცობრიობისათვის, სძულს და სძაგს მსოფლიო ბურჟუაზიას და მსოფლიო სოციალ-ფაშისტებს. სამაგიეროდ მით უფრო საყვარელი და ძვირფასია ის ჩვენთვის. საჭიროა ჩვენი საქმისთვის მისი მოსწრებული სიტყვები, გესლით სავსე მტრების მიმართ, სიყვარულით და სიამაყით სავსე თავისი განთავისუფლებული ქვეყნის მიმართ.

ამიტომ, ჩვენ ვიტყვით, გაუმარჯოს ალექსი მაქსიმეს ძეს! დიდება მის მადლიან კალამს, რომელიც

მტრებით გარშემორტყმული ჩვენი ქვეყნისათვის დიდი დამხმარე ძალაა. დეე, ეს კალამი მუსრს ავლებდეს ამკარა მოღალატეებს და ორგულებს. დეე, ის მატებდეს ახალ-ახალ მეგობრებს და დამცველებს სოციალიზმის ქვეყანას.

თქვენ კი, ბურჟუაზიული პრესის მოსყიდულო ქოფაკო ძაღლებო, შორს თქვენი ბინძური ხელები ჩვენი ძვირფასი ალექსი მაქსიმეს-ძისაგან.

ალექსი მაქსიმეს ძე ნიმუშია, ბრწყინვალე განსახიერებაა იმისი, თუ როგორ უნდა ემსახუროს კულტურის არმიელი თავის ხალხს, რომელიც გაჭირვებით და ბრძოლით ქმნის ახალ ცხოვრებას.

ჩვენი პასუხია—დეე, იღრინოს მსოფლიო ბურჟუაზიამ, მათი ღრენა უკანასკნელია. დღეს ჩვენ მსოფლიო მუშათა კლასთან ერთად მედგრად ვიტყვით: შორს სისხლიანი ხელები მაქსიმ გორკისაგან!

გორკი ჩვენია, გორკი მშრომელ ხალხს ეკუთვნის!



ს. ს. რ. კ. სამხ.-საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. კ. ვოროშილოვი

მისი დაბადებიდან 50 წ. შესრულების გამო

## საქ. ა. კ. მე-9 ყრილობის მიმართვა მაქსიმ გორკისადმი

—21 იანვარს საქ. ალ. კ. კ.-ის მე-9 ყრილობამ აღშფოთებით გაიგო, რომ ბურჟუაზიული მსოფლიოს გამყიდველი პრესა შენს წინააღმდეგ კამპანიას აწარმოებს. ჩვენ მშვენივრად გვესმის, რომ შენს წინააღმდეგ მიმართული სიცრუე და ცილისწამება წარმოადგენს მხოლოდ იმ სიცრუისა და ცილისწამების ნაწილს, რომელსაც ბურჟუაზიული აგენტები ავრცელებენ ჩვენი დიდი საბჭოთა კავშირის შესახებ. სამი მილიონი კომკავშირელის სახელით გიცხადებთ, ძვირფასო ალექსი მაქსიმეს ძევ, რომ შენ ჩვენთვის ხარ არა მარტო პირველი პროლეტარული მწერალი, არამედ საყვარელი მწერალიც ჩვენი ქვეყნის მთელი მუშურ-გლეხური ახალგაზრდობისათვის, რომელიც შენს ნაწერებს კითხულობს. შენ ხარ ისეთი ადამიანი, რომელიც მთელი მსოფლიოს მშრომელთა წინაშე იცავს ჩვენი ქვეყნის ღირსებას და მართალ საქმეს.

ჩვენ მეგობრულად გიჭერთ ხელს და მხურვალედ ვესალმებით შენს გაბედულ გამოსვლებს საბჭოთა კავშირის დასაცავად მავნებლებისა და ინტერვენტების წინააღმდეგ. ჩვენ მთლიანად მხარს ვუჭერთ შენს განცხადებას".

მიმართვას ყველა დელეგატი მხურვალე ტაშით შეხვდა.

# „ევროპავ, უარყავ ძველი, ან მოკვდი"

### რომენ როლანის წერილი

„როდესაც დაიწყება ბრძოლა ორ მსოფლიოს შორის, რაც აუცილებლად უნდა მოჰყვეს ევროპის ბრმა ეგოიზმს, ვინ იქნება მორჩილი ჯარისკაცი ევროპის იმ ავანტურისტებისა, რომელნიც იბრძვიან აჯანყებული მსოფლიოს წინააღმდეგ? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად სხვას არ ვიწვევ, მაგრამ სრული შეგნებით ვაცხადებ: მე არ ვიქნები ეს ჯარისკაცი. ევროპავ, თუ შენ საშინელ ხოცვა-ჟლეტას მოაწყობ, წავალ შენს წინააღმდეგ, შენი დესპოტიზმის და მტაცებლობის წინააღმდეგ, დავიცავ ინდოეთის, ჩინეთის და ინდო - ჩინეთის ჩემს ძმებს, ყველა გაყვლეფილ და ჩაგრულ ერს. ჩავიდენ ამას ცივილიზაციისათვის, პროგრესისათვის, ადამიანის უსაზღვრო სულისათვის, რადგან მის უაღრესად საარსებო აუცილებლობას ამჟამად წარმოადგენს გამდიდრდეს და განახლდეს ამ დიდი ერების მორალური განძით. ძარცვის საუკუნეებს შეეძლოთ წაერთმიათ მათთვის ოქრო, მაგრამ მათ ხელუხლებლად შეინარჩუნეს იმ მრავალი ათასი წლის ცივილიზაციის სულიერი სიმდიდრე, რომლის განახლებაც ახლა ხდება. მინდა ყოველი მოლოდინის წინააღმდეგ ვიქონიო იმედი, რომ კიდევ შესაძლებელია აცილებულ იქნას თავიდან კაცობრიობის ამ ორი ნახევრის უდიდესი შეჯახება, მაგრამ თუ მაინც მოხდა, ერთობ მოახლოებულია სიკვდილი, რომ დავფარო ჩემი აზრები, ვეუბნები ლენინის საბჭოთა კავშირს და სუნ-იატ-სენის აზიას: „ძმებო, იქონიეთ ჩემი იმედი. მე მხოლოდ ერთი კაცი ვარ მილიონებიდან, მაგრამ ეს კაცი ლაპარაკობდა და ლაპარაკობს დასავლეთის დამოუკიდებელი ენით, იგი იყო თავისუფალი მშრომელი მთელი ქვეყნის თავისუფალ მშრომელი ძმებისათვის, რომლებიც ისწრაფვიან გაიკაფონ გზა შრომის მსოფლიო კავშირის შექმნისაკენ, რომელიც თავისუფალი იქნება მონობის, რასების, კასტების და კლასების ცრუმორწმუნოებისაგან" და მე ვეუბნები ევროპას: „გაფართოვდი, ან მოკვდი, შეითვისე დედამიწის ყველა თავისუფალი ფორმა, შენ სული გეხუთება შენი წარსულის ნაჭუჭში, სახელოვან, მაგრამ დაზიანებულ ნაჭუჭში, მოიცილე იგი, ამოისუნთქე თავისუფლად, ნუ გვიშლი ხელს ღრმად ვისუნთქოთ, ჩვენ გვჭირდება უფრო ფართო სახელი, უფრო ფართო სამშობლო, ვიდრე ევროპაა". ჩემი სატრფიალო არა გუშინ არამედ—ხვალე. და ამ „ხვალეს" ცისკრის ზარმა უკვე დაჰკრა".



ფრანგი მწერალი

რომენ როლანი

# სოფლის პიონერებს

მე თქვენთან მოვალ, რადგან განვიცდი
ახალი სოფლის კომუნა-არტელს.
და გაზაფხული ბოლშევიკური
გულს მიხალისებს, ძალას მიმატებს.

—:—

მსურს გემსახურო, ჩემო სოფელო,
მინდა ალვზარდო სოფლელი ბიჭი,
დამხვდით ყოჩაღად, პიონერებო,
საერთო ძალით, საკუთარ ნიჭით.

—:—

სკოლა, სადაც თქვენ უნდა ისწავლოთ,
იქნება სკოლა კომუნიზმისა,
თქვენ შეისწავლით ცხოვრებას ნამდვილს
და მით მიაღწევთ უდიდეს მიზანს.

—:—

მე მოწოდება გამიჯდა გულში:
სოფელი ახლა მოითხოვს ძალებს.
კომკავშირული ფიცი, ზნეობა—
მე თქვენთან ვიყო ახლა მავალებს.

—:—

თქვენ იფურჩქნებით, როგორც ჯეჯილი
კოლექტიური მინდორ-ველისა,
დე, არ ისმოდეს სოფელში აწი,
კვნესა-ვაება ღამის მეხრისა.

—:—

მე მოვალ თქვენთან ახალ განცდებით,
ახალ ცხოვრებას ხალისით ვზიდავ,
მოგაგონდებათ მასწავლებელი
ბოლშევიკურად, რომ ასე გზრდიდათ.

—:—

თქვენც ერთ დროს როცა საკუთარ სოფელს
იმედით სავსე დაუბრუნდებით,
მაშინ იქნება სოფელი ალბათ
ერთი კომუნა, ყანებ-მინდვრებით.

**ტრიფონ რუხაძე**

# ფოლადის მჭედელი პოეტი

„ჩვენ სულ ყველა ვმუშაობთ ისე, როგორც ბრძოლაში— კომუნისტი ორმაგ პასუხს აგებს გულგრილობაში“.

ოქვენ გეჩვენებათ, რომ ეს ლოზუნგი გინახავთ სადღაც. სად? ცეხში, ქუჩაში?

სრული სიმართლეა. ეს ლოზუნგი სხვა ათეულთან ერთად ეკუთვნის პოეტ ალექსანდრე ბეზიმენსკის კალამს. გასული წლის ზაფხულში ის მუშაობდა დნეპროპეტროვსკის მეტალურგიულ გიგანტებში „პრავდა“-ს ბუქსირთან ერთად. იქ სწერდა ლექსებს და ლოზუნგებს. თავისი ლექსების ზემოქმედებით ის ჰმატებდა მუშებს ენერგიას, ეპიგრამებით სცხებდა მუქთახორებს და გამცდენლებს. ამ ეპიგრამებს სწავლობდენ ზეპირად, მას მღეროდენ ცეხებში. მაგრამ, გარდა ფოლადისთვის ბრძოლისა, ის თავისი პოეტური იარაღით აჰდენდა რეისებს ცეხებისაკენ, რომ გამოერკვია ცუდ მუშაობაში დამნაშავენი, და ფოლადის ჩამოსხმამ „პრავდა“-ს ბუქსირის მუშაობის შედეგად იმატა.

უკვე ათი წელი შესრულდა, რაც ალექსანდრე ბეზიმენსკი მუშაობს პოეტურ ფრონტზე. თუ მოვიგონებთ ბეზიმენსკის გზას ამ წლების განმავლობაში, დავინახავთ, რომ ის ყოველთვის იყო არა მარტო პოეტი, არამედ აქტიური მონაწილე ჩვენს მუშაობასა და ბრძოლაში.

საერთოდ კი ჩვენთან კომკავშირში, თითქოს არც შეიძლება იყოს სხვა გვარი პოეტი, მაგრამ სინამდვილეში კიდევ საკმაოდ მოიპოვებიან ისეთებიც, რომლებიც ჯღაბნიან უნიჭო ლექსებს, განზე არიან გამდგარნი და მხოლოდ შორიდან ათვალიერებენ. აღმშენებლობას. ყველასათვის ცნობილია ბეზიმენსკის ლოზუნგი:

**„დღევანდელი დღის ძალ-ღონე შესწევს, და ჩვენი გზები თვისად უცვნია, ვინც სულ პატარა საქმეშიც შესძლებს— ჰკოვოს მსოფლიო რევოლიუცია“.**

და ბეზიმენსკი არასოდეს არ სთვლის იმ ფაქტებს წვრილმანად, რომელსაც ზოგიერთი პოეტი მყისვე გვერდს უვლის; ის სწერს ლექსებს მესაქონლობის განვითარებაზეც, გამცდენლებზე, დეზერტირებზე და ობივატელებზედაც, ჩვენ ვხვდებით გაზეთებში მის მახვილ სტრიქონებს, რომელიც მიმართულია მავნებელ რამზინის და ყველა ჯურის ოპორტუნისტების მიმართ. ის მართლაც ახხორციელებს თავის ლოზუნგს.

„მე პირველ ყოველისა პარტიის ყმაწვილი ვარ, და მის შემდეგ ლექსის მწერალი“. ბეზიმენსკის იუბილე ითვლება კომკავშირის დღესასწაულად. სამა ბეზიმენსკის კომკავშირი ზრდიდა და მან თავისი უზარმაზარი მუშაობით ბევრი რამ გააკეთა კომკავშირისათვის.

1918 წ. ბეზიმენსკიმ პირველმა მოჰკიდა ხელი ვლადიმერსკის ახალგაზრდათა კავშირის ორგანიზაციის ჩამოყალიბებას, ის მონაწილეობას იღებდა სრულიად რუსეთის კომკავშირის პირველ ყრილობაზე, იყო რ.ა.კ.კ. პირველი ცეკას წევრი; თავის ლექსებში ის დიდ ყურადღებას აქცევდა მუშა ახალგაზრდათა ცხოვრებისა და მუშაობის გაშუქებას.

პოემაში „კომსომოლია“ ბეზიმენსკიმ მშვენიერი სურათი დაგვიხატა კომკავშირლების ბრძოლისა სამოქალაქო ომის დროს. მისი ლექსები ჯანსაღია და კომკავშირული ენერგიით აღსავსე.

ბეზიმენსკი იმდენად ნათლად გვიხატავს ტიპებს, რომ ისინი იქმნებიან სიმბოლოდ, ის გვიჩვენებს ერთს, ჩვენ კი გვეჩვენება, რომ ჩვენ ათასი ამგვარი ვიცით.

კომკავშირის მე-9 ყრილობის წინ ჩატარებული ბეზიმენსკის იუბილე განსაკუთრებით სასიხარულო მოვლენად უნდა ჩაითვალოს ჩვენთვის. კომკავშირის ისტორია ხომ მჭიდროდ არის დაკავშირებული ალექსანდრე ბეზიმენსკის სახელთან. ტყუილად კი არა აქვს მინიჭებული საპატიო კომკავშირელის სახელი! და ახლაც ბეზიმენსკი დაკავშირებულია კომკავშირთან.

საკ. კ.კ. მე-9 ყრილობაზე ალ. ბეზიმენსკიმ წაიკითხა ახალი პოემა, რომელიც ერთხელ კიდევ ადასტურებს იმას, რომ ბეზიმენსკი კომკავშირის საუკეთესო პოეტია.



სოფლის პიონერები კედლ-გაზეთთან



პროლეტპოეტი ამხ. ა. ბეზიმენსკი

## ქუდი

დღევანდელი დღის ძალღონე შესწევს
და ჩვენი გზები თვისად უცვნია,
ვინც სულ პატარა საქმეშიც შესძლებს
ჰპოვოს მსოფლიო რევოლიუცია.
ზოგი ქალს უმღერს, ზოგი ფარჩეულს,
ზოგი ძველ ჰანგებს კვლავ მისდევს კუდში,
ჩემი სიმღერის გეტყვით არჩევანს—
ეს არის ჩემი
კოტიკის ქუდი.
რატომ ვამაყობ ამ ქუდით, ნეტავ?
რატომ თვალები აფრქვევენ სხივს?
მიტომ, რომ ორდერით
მივიღე ის.
ცხრამეტში კიევს ძლივას ვესტუმრე,
დაღლილს ოცნება გამეხსნა მყისვე,
მივეც ორი დღის თავს შესვენება,
მერე სანგრებში ჩავწევი ისევ.
ამ დღეს უტყვიოთ დავიმორჩილეთ
აჯანყებული ჩვენ მეცხრე პოლკი...
ჰო, მართლა, ქუდი...
და მე აქედან ამას რომ მოვრჩი,
მოსკოვს მოველი დაძონძილ ქურქით.
ცეკაში მომცეს ქუდის ორდერი
(ეს მომეჩვენა მე საწყაულად)
ქაღალდს თათები სწრაფად მოვდევი,
გზას გავუდექი
ამ სამკაულით...
მომცეს ზაფხულზე თავის სარქველად
ეს სანაქებო კოტიკის ქუდი.
ახლა, ამ წუთში, როცა ჩავუვლი
ვიტრინებს, ქონის სუნი რომ უდის,
ვით დროშა, მაღლა აწევით მიმაქვს
სამხედრო წელთა კოტიკის ქუდი.
თუ მე ოდესმე ვყიდულობ რამეს,
ვეძებ ან მინდა რაიმე ნივთი,
ძველი ორდერი ისევ მაბრმავებს,
დღე მომავალი კვლავ სალამს მითვლის.
როდესაც მესმის ცნობა ბანკნოტზე
ან ბირჟის ბრძოლა გასაკვირალი,—
ვუცქერი ისევ ჩემ ქუდს, ჩემ კოტიკს,
ნიშნა ამოტყდეს ძველი გრიგალი.
დე, ათეული ეკავოს ბინა
და ისეირნოს „ნეპმანმა“ ფორდზე,
იქნება დღე, და
წარვადგენთ მაშინ,
ქუდის
კი არა,
მსოფლიოს ორდერს.

ბეზიმენსკი.

# მაქს ჰელცი

მრავალ ახალგაზრდას ყოველთვის როდი გაეგება, თუ რა ხდება მის გარშემო, და ხშირად ამბობს:

— რის გაკეთება შეგვიძლია ჩვენ ახლა! აი, როდესაც ომი იქნება, მაშინ ჩვენ ყველანი გავალთ.

ისინი, როგორც ბრმები, ვერაფერს ვერ ხედავენ, არ იციან როგორ, სად და რით შეიძლება დახმარება გაუწიონ სოციალისტურ აღმშენებლობას.

მაქს ჰელცი მოგვითხრობს, თუ როგორ იბრძვიან გერმანელი პიონერები თავიანთი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ჩვენი პიონერები და მოწაფეები უკეთესად არიან უზრუნველყოფილნი საკვებით, ტანისამოსით და სხვა, ვიდრე გერმანელი პროლეტარების ბავშვები.

ყოველი პიონერი და მოწაფე მოვალეა აუხსნას თავის ამხანაგებს, რომელთაც არ იციან სინამდვილე, თუ რა განსხვავებაა გერმანიის და საბჭოთა კავშირის პროლეტარული ბავშვების მდგომარეობას შორის.

კაპიტალისტური წყობილების წინააღმდეგ ბრძოლა გერმანიაში და მონაწილეობა ს.ს.რ. კავშირის აღმშენებლობაში — ყოველივე ეს საქმიანობაა, რომელიც ანმტკიცებს და ამაგრებს ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარიანობას.



გერმანელი რევოლიუციონერი

**ამხ. მაქს ჰელცი**

მაქს ჰელცი საშუალო ტანის მოძრავი ადამიანია. მრავალი ნაოჭი მის შუბლზე ღარებს აჩენს და თვალებს სიღრმეში სწევს, მაგრამ ეს ნაოჭები სიბერით არ არის გამოწვეული. მაქსის თავი გეოგრაფიული რუკაა მრავალი დიდი და პატარა ჭრილობით. კეფაზე ღრმა ნაწიბური ფაშისტებთან უკანასკნელად შეტაკების დროს მიღებული საჩუქარია. მაქსი იღებს ყუთს და გვიჩვენებს მინის მოზრდილ ნატეხს (ეს ლუდის ჭიქის ნაწილია), ეს მინა მაქსს თავიდან უკვე ჩვენში, საბჭოების ქვეყანაში, ამოუღეს.

მიუხედავად გვიანი დროისა, მაქსი გატაცებით საუბრობს გერმანიის პიონერებზე. იგი ამბობს:

„კომკავშირულმა და პიონერულმა მოძრაობამ გერმანიაში, თავისი განვითარების მანძილზე, კანონზომიერად განვლო სხვადასხვა საფეხური. როდესაც მხარეში საერთო მებრძოლი განწყობილების ტალღა ძლიერდება, მაშინ კომკავშირული და პიონერული მოძრაობაც სწრაფად მატულობს. რიცხვობრივად ძალიან დიდი იყო ის 3-4 წლის წინად. ბურჟუაზიული ქვეყანა ინტერვალების ქვეყანაა—ქარიშხლისებური ნახტომი ხან წინ, ხან უკან. გასულ წელს პიონერული მოძრაობა ძლიერ სწრაფად დაქანდა ქვევით—სულ 8.000 პიონერი ღა დარჩა.

გერმანეთი ყოველი ჯურის გეგმებით მდიდარი ქვეყანაა. დაუესის გეგმას, იუნგის გეგმას და სხვას პირველ ყოვლისა, მუშებსა და მათ ოჯახებთან აქვთ დამოკიდებულება. მე ვიცი, რომ მოწაფეთა მდგომარეობა გერმანეთში ხელიდან წასულია. არც მასწავლებელთა მდგომარეობაა უკეთესი. სახალხო განათლება გერმანიაში ყოველთვის თავის დონეზე იდგა, მაგრამ მრავალრიცხოვანმა გეგმებმა სასკოლო ქსელი მეტად შეამცირა და უმუშევართა ბანაკს შემატა ასი ათასობით სამსახურს გარეთ დარჩენილი მასწავლებლები.

ახალგაზრდები მოსწავლეები თავიანთ საკუთარ ტყავზე გრძნობენ, თუ რა ეწოდება ამ მძიმე მდგომარეობას. გერმანეთი იხდის ვალებს. ის ჩაეფლო მასში იმპერიალისტური სასაკლაოს შემდეგ. ყოველმა პიონერმა იცის და ესმის ეს. ცხელი საუზმეები ახლა სკოლებში შეწყვეტილია და ბავშვები მთელი დღის განმავლობაში თითქმის არაფერს სჭამენ. თვით კბილებსაც არ აქიმობენ ახლა ბავშვებს. აქამდე გაჩუმებულმა ახალგაზრდებმა უკვე ხმამაღლა განაცხადეს თავიანთი მდგომარეობის შესახებ. ყმაწვილები აწყობდნენ გაფიცვებს, ისინი ჯგუფჯგუფად დადიოდენ ქუჩებში დროშებითა და პლაკატებით. ფაშისტები, პოლიცია და ყველასათვის ცნობილი და პროლეტარულ ბერლინისათვის საძულველი „შუპო“ ასეთ შემთხვევის დროს ყოველთვის თავის ადგილზეა.

რამდენად უხამსია ცერგიბელი და მისი დამქაშები! პოლიცია ერთგვარი გულმოდგინებით ვარჯიშობდა ბავშვების თავზე რეზინის ჯოხებით. ყმაწვილებს აპატიმრებდნენ, აძლევდენ მრავალ გაჭიანურებულ დაწვრილებით შეკითხვებს. „ვინ გასწავლათ გაფიცვა?“ საიდან გაქვთ ამბოხებისადმი მიდრეკილება?—აი პოლიციის საკითხები. საარჩევნო კამპანიის განმავლობაში მე ხშირად ვხვდებოდი პიონერებს, ძლიერ მაინტერესებდა მათი ცხოვრება და საქმიანობა.

— აბა, ყმაწვილებო, როგორ ცხოვრობთ?

— ძალიან ცუდად, მაქს. ძლიერ გვდევნიან. ჩვენ დემონსტრატიულად ვცხადდებით სკოლაში წითელი ყელსახვევებით. ფაშისტების ბავშვები გვაღიზიანებენ და დაგვცინიან. მასწავლებლნი მოურიდებლად გვაგლეჯენ ყელსახვევებს. მაგრამ არაფერია. იცი, მაქს, ჩვენ ენერგიულად ვებრძვით მასწავლებლებს.

მე ხშირად დავდიოდი სასწავლებელში დასვენების დროს. ვხედავ, ჩემსკენ გამორბის ატირებული პიონერი—11-12 წლის ყმაწვილი.

— იცი, მაქს, მასწავლებელმა მცემა.

მე შევძახე:

— მასწავლებელმა გცემა?

## „პიონერი“-ს რედაქციაში

— ჰო, ძალიან მაგრად. და იცი, მაქს, [illegible] არც ისე დიდი რამ დამიშავებია, [illegible] ოფიციალურად გამოვედი, მეტი არაფერი.

მე ჩემ ამხანაგთან ერთად სწრაფად ავირბინე მაღლა. მოვნახეთ მასწავლებელი და მოვაწყვეთ ფორმალური დაკითხვა.

— აგვიხსენით, თუ შეიძლება, თქვენი საქციელი. თქვენ სცემეთ ბალღს.

მე ვათვალიერებდი მასწავლებლის სახეზე, რომ ის შეშფოთდა.

— ბავშვები ხომ ყოველივე უნდა ვასწავლოთ? მათ დისციპლინაც.

— ნუთუ თქვენ ცემის გარდა სხვა რამ არ შეგიძლიათ გამოსახოთ, უფრო გონებამახვილი? სცდებით, ძვირფასო მეგობარო. მე ერთი წელი დავჰყავი საბჭოთა რუსეთში. იქ ვნახე სხვა. ახლა იქ სრულიად სხვაგვარად ცხოვრობენ ბავშვებიც და უფროსებიც. და მე მას ვუამბე ბევრი რამ, რაც ვნახე საბჭოთა კავშირში.

მასწავლებელი ყურებჩამოყრილი მისმენდა.

მე ვიცი მრავალი შემთხვევა, როდესაც პიონერები ნამდვილი თანამებრძოლები იყვნენ ჩვენს ბრძოლაში. ერთხელ მიტინგზე უნდა გამოვსულიყავი. ჩვეულებრივ, გამომსვლის ვის, ჩვენ ყოველთვის ვაწყობთ წითელ თავდაცვას, რომელიც იცავს ჩვენს ამხანაგებს. ფაშისტები უკვე ილესდენ კბილებს. ისინი წინასწარ სტკბებოდნენ იმის მოლოდინში, რომ მნახავდენ სუნთქვაშეკრულს და სისხლის მორევში მცურავს, რეზინის ჯოხები და, წარმოიდგინეთ, თვით სკამებიც მოუთმენლად ელოდენ, თუ როდის ჩაერეოდენ საქმეში. ჩვენ უკვე ჩავსხედით ფურგუნებში. ყველაფერი მზადაა წასასვლელად. მოულოდნელად ჩემს გვერდით შევამჩნიე ყმაწვილი—პიონერი.

ის ვედრებით შემომყურებდა.

— მაქს, გენაცვალე, წამიყვანე შენთან.

— რას ამბობ, ბავშო, შენ? ჩვენ მივდივართ საშიშ ბრძოლაში და არ ვართ დარწმუნებული იმაში, რომ ამ ხეებს კვლავ ვიხილავთ.

ავიყვანეთ ბავში და დავსვით ჩვენთან. მიტინგი სწორედ ფაშისტური იყო და არც ერთი ჩვენი ამხანაგის დაშვება მათ არ უნდოდათ. შეგვიშვეს მხოლოდ მე და კიდევ 4 მუშა. ტრიბუნაზე ასვლა და პირის გაღებაც ვერ მოვასწარი, რომ ჩემს თავზე წამოვიდა ლუდის ბოთლები, ვაშლები და ყოველგვარი სიბინძურე.

— ეხ, ეშმაკმა წაგიღოს (მაქსმა იცის რუსულად მხოლოდ ეს ფრაზა და მას გამოთქვამს ასე: „ჩორტ ვოჩმი“)!

დაიწყო მხეცური რბევა. ყველაფერი აირია. მე თვალის მოკვრით დავინახე, ჩვენი პიონერი როგორ შეძვრა დარბაზში. იმ წუთშივე ის ტყვიასავით გაიჭრა ქუჩაში. მე გავიგონე მისი აცახცახებული უჩვეულოდ ყვირილი ხმა:

— ამხანაგებო, მაქსს სცემენ!

ჩვენები შემოიჭრენ და გამოსტაცეს ჩემი თავი ფაშისტებს ხელში. გონს რომ მოვედი, მაგიდაზე ვიწექი. ამხანაგები მიბანდენ ახლად მიღებულ წყლულებს. ქალაქი ფაშისტურია და უიმედო საქმეა დაგყაბულდეს აქ მი კომუნისტის ნახვას. მე ვიკითხე:

— სად არის ბავში?

— ის წავიდა შემდეგი ფურგუნით. მან გაამართლა დაპირება. ჩვენ არ წაგვიგია მისი წამოყვანით.

აი, როგორ ცხოვრობენ და იბრძვიან პიონერები გერმანიაში.

ყოველ ჩვენმა პიონერმა მტკიცედ იცის—რას წარმოადგენს ნაცადი მუშტი წითელფრონტელის და საბრძოლო მოწოდების ყიჟინა.

# ავიღოთ მაგალითი ლენინგრადის პიონერ-ორგანიზაციიდან

**„ახალი კადრების — ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ - ტექნიკური რეკონსტრუქციის გამტარებელთა—მომზადება საგრძნობლად ჩამორჩება ამ რეკონსტრუქციის მოთხოვნილებებსა და ტემპებს.**

**ამ უდიდეს პრობლემათა გადასაჭრელად ლენინურმა კომკავშირმა მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშოს".**

(საკ. ა.ლ.კ.კ.ც.კ. დეკემბრის პლენუმის რეზოლიუციიდან).

პიონერთა მუშაობის გარდაქმნა და გადახალისება, საყოველთაო-სავალდებულო სწავლება და პოლიტექნიზმი თანდათან პიონერთა ახალ-ახალ ათასეულებს იძლევა. პიონერორგანიზაცია იზრდება როგორც რიცხობრივად, ისე თვისობრივად, ის ამჟამად სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე დგას და თავისი ძალღონითა და ენერგიით კომკავშირთან ერთად მედგრად იცავს ოქტომბრის მონაპოვარს.

სხვა ორგანიზაციებს შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ლენინგრადის პიონერორგანიზაცია. ამჟამად ლენინგრადის პიონერორგანიზაციის რიგებში 84 ათასი პიონერი ითვლება, სულ ოლქის მასშტაბით კი—182 ათასი პიონერი.

პიონერორგანიზაცია ამ უკანასკნელ წლებში საგრძნობად გაიზარდა. 1929 წელს მთელი ოლქის მასშტაბით პიონერთა საერთო რიცხვი 84 ათასს არ აღემატებოდა.

დღეს პიონერები გულხელდაკრეფილი როდი უყურებენ ახალი ცხოვრების გაშლას, განვითარებას, მუშაობას და მშენებლობას, ისინი თვითვე ჰქმნიან ახალ ცხოვრებას, ეხმარებიან დამკვრელ მასებს წარმოებებში. თავგამოდებით იბრძვიან ხუთწლიანი გეგმის ოთხ წელში შესასრულებლად.

საბჭოთა სკოლა უშუალოდ არის დაკავშირებული ქარხანასთან, ფაბრიკასთან; პიონერები დიდი ხანია გამოვიდენ ჩაკეტილი ოთახებიდან და ცოცხალ საქმიანობასა და მუშაობას შეუდგენ ფაბრიკა - ქარხნებში ბევრ სკოლას აქვს საწარმოო განხრა და მთელ თავის მუშაობას მის ძირითად მოთხოვნებს უფარდებს და უკავშირებს.

პიონერებს სოციალისტურ შეჯიბრებაში ჰყავთ გამოწვეული მთელი რიგი პიონერორგანიზაციები, ამხანაგები და მეგობრები; მშობლებთან და დამკვრელებთან დადებული აქვთ ხელშეკრულება სოციალისტური შეჯიბრების გასაშლელად.

მოსწავლე პიონერები პრაქტიკულ საქმიანობას ფაბრიკა-ქარხნებში ეწევიან. ამჟამად მათ მთავარ საზრუნავ საგანს წარმოადგენს ხუთწლიანი გეგმის ოთხ წელში შესრულებისათვის და სამრეწველო-საფინანსო გეგმისათვის ბრძოლა. **ლენინგრადის** ერთ-ერთ ქარხანაში ყველა პიონერჯგუფი მიმაგრებულია ცეხებზე. ისინი შეჯიბრებაში იწვევენ თავიანთ დამკვრელ მამებს, მჭიდრო კავშირი აქვთ მუშა-დამკვრელებთან. ამას ადასტურებს ის გარემოება, რომ პიონერთა ერთ-ერთ შეკრებაზე ცეხებთან მიმაგრებული პიონერების მუშაობის შესახებ ვრცელი მოხსენებით გამოვიდა დამკვრელი მუშა.

**ლენინგრადის** მეორე ქარხანაში პიონერები თავგამოდებით იბრძვიან გაცდენის წინააღმდეგ. ვინაიდან მასალები შემოაკლდათ, რამდენიმე ცეხი გაჩერებული იყო. მუშები უსაქმოდ დადიოდენ, არ იცოდენ რა ექნათ. ამ გარემოებას პიონერებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს, ნათ დაწვრილებით შეისწავლეს გაცდენის მიზეზები, და 4 დღის შემდეგ, შესაძლო გახდა გაცდენის ლიკვიდაცია.

ასეთი ფაქტები, უდაოდ რომ ამტკიცებს იმას, რომ პიონერები დიდ როლს თამაშობენ სოციალისტურ მშენებლობაში, ვლადიმერ ილიას ძე ლენინის ქალაქის—ლენინგრადის პიონერთა ყოფა-ცხოვრებაში უთვალავია.

კ. მარქსის სახელობის ქარხანაში (ლენინგრადში) პიონერებმა სრულიად მოსპეს წუნი („ბრაკი"). მათ მოაწყეს წუნის ფართო გამოფენა, რამაც გავლენა იქონია მუშაობის ტემპებსა და უნარიანობაზე და რამდენიმე ხნის შემდეგ ეს ნაკლი გამოსწორდა.

პიონერებმა უდიდესი მუშაობა ჩაატარეს ხუთწლიანი გეგმის ბოლომდე მუშათა სოციალისტური კონტრაქტაციისათვის. პიონერთა ერთმა ზაფხულ კონტრაქტაციით გამოიწვია 800 მუშა, მეორემ—362 მუშა და სხვა. მათ შეაქვთ თავიანთი წინადადებანი და ციფრები ქარხნების შემხვედრ სამრეწველო-საფინანსო გეგმაში. ეს ციფრები და წინადადებანი ლენინგრადის გიგანტების მუშების უმეტესობის მიერ მიღებულია, მათ ის შეტანილი აქვთ თავიანთ სამრეწველო-საფინანსო გეგმაში.

ლენინგრადის სკოლებში საგრძნობლად არის გაზრდილი პიონერთა ბირთვი. ყველგან მოწყობილია პიონერთა თვითმართველობა.

ა. ლ. კ. კ. ლენინგრადის საოლქო კომიტეტის მე-9 ყრილობაზე ლენინის ქალაქის პიონერებს დიდი მილოცვები აქვს.

ამჟამად ტარდება პიონერთა საოლქო ესტაფეტა იმ ხელშეკრულებათა შესამოწმებლად, რომელიც მათ დადებული აქვთ მოსკოვთან და უკრაინასთან; ამავე დროს ესტაფეტის დასრულების შემდეგ დაიდება ხელახალი ხელშეკრულებანი.

მე-9 საოლქო ყრილობისათვის პიონერები აწყობენ მანქანების, დაზგების და ინსტრუმენტების ეშელონს უზბეკისტანის სკოლების პოლიტექნიზაციისათვის. ეშელონი ამ დღეებში გაემგზავრება უზბეკისტანში.

ლენინგრადის პიონერებს შეფად აჰყავთ „სვირსტროი".

ყოველივე ზემოთქმული მოწმობს, თუ როგორ მუშაობას აწარმოებს **ლენინგრადის პიონერორგანიზაცია.** ისინი ღირსეულად ატარებენ პიონერის სახელწოდებას და წარმატებით აბარებენ გამოცდას დიად სოციალისტურ მშენებლობას.

ავიღოთ მაგალითი მათი მუშაობიდან.

**ანზია.**

კოლმეურნეობის ჯიშიანი ხბო-



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩახუნდარა*)

— მე... მე ის მინდა განვაცხადო, რომ ჯერ პიონერკოლექტივი უნდა გავწმინდოთ არაპიონერული ელემ... ელემენტებისაგან და შემდეგ... მაგალითად, შემდეგ ვიმსჯელოთ... ყოფა-ცხოვრებაზე...

— მართალია!—წამოიძახეს ზოგიერთებმა...

— „მართალია"—ენის გასავსავებით გაიმეორა ქეთომ ზოგიერთების წამოძახილი და თავი ისე დაიჭირა თითქო ეს არის უნდა წამოიძახოს: ვინა ხარო, ვის ასამართლებთო. ხელმძღვანელმა მოიბრუნა პირი იქითკენ, სადაც ქეთო და მისი თანამოაზრეები ისხდენ და აინუნშიც არ იგდებდენ დანარჩენ ამხანაგებს, რაღაცას თავისთვის ჩურჩულებდენ, იმუქრებოდენ, იჭაჭებოდენ.

— სიჩუმე! ქეთოს საქციელი, როგორც ყოველთვის, არაპიონერულია... ამას მეც ვხედავ... მაგრამ ვახტანგ, ბიკენტი... თქვენ რაღა მოგივიდათ...

— დაჩუმდით, ამხანაგებო!—წამოიძახა ჯოტომაც ადგილიდან და პირი იქითკენ მიიბრუნა, საიდანაც ხმაურობა განუწყვეტლივ ისმოდა.

— წადი, შე ჩახუნდარა..

— კოჭლაუხა...

— შაური შენ, შაური მე...—წამოვიდა სიტყვასავით ჯოტოს მისამართით.

—ამხანაგებო!—გაცოფდა კათედრაზე ხელმძღვანელი—რა ხულიგნობაა ეს, რას გავს ასეთი ქცევა, ამხანაგებო?

ჯოტო აიმღვრა... თვალები დაუბნელდა... ამხანაგები მშრალი მზერით დაათვალიერა და...

— „არა, რომ აღარ მეცხოვრება ამხანაგებში, ეს ცხადია" დაასკვნა თავისთვის და წასვლა დააპირა...

— სად გაგონილა ამხანაგებისადმი ასეთი მიმართვა, სად ნახეთ, რომ პიონერი პიონერს ასე ელაპარაკებოდა?!. რასა გავს ეს, რას?!

— ჩახუნდარა თუ დავუძახე, დიდი ამბავი მომხდარა...

ჩაილაპარაკა ქეთომ თავისთვის.

— ნუ თუ ჯოტო ისეთივე კარგი ამხანაგი არ არის... ისეთივე კარგი მეგობარი და...

— არც ერთი სიტყვა, არც ერთი სიტყვა ჩემი მისამართით: არც ერთი სიტყვა მეთქი, თორემ...—ჯოტო აიტკიცა, აიმრიზა, გაანჩხლდა, განერვიულდა და სახე გაჭარხლებული ისე სწრაფად დაიძრა ადგილიდან და გარედ გავარდა, რომ დალაპარაკებაც ვერვინ მოასწრო...

—ჯოტო! ჯოტო!—მიაძახეს ერთხმად ამხანაგებმა, მაგრამ მისი ფეხის ხმაც აღარ ისმოდა სკოლის დერეფანში.

ხელმძღვანელი ჩამოხტა კათედრიდან... კოტეც გამოვარდა დერეფანში... მას მიყვენ სხვებიც.

ის იყო კოტე შურდულივით გავარდა სკოლის აივანზე, რომ გონებადაკარგული ჯოტო ძლივს შეფორთხდა აივნის რიკულებზე, წელში გაიმართა, და ის იყო მესამე სართულიდან გადასავარდნად დაიწკურა, რომ კოტე უკანიდან წამოეწია, ხელები მაგრად ჩაბღუჯა ტანისამოსში და გონება წასული ჯოტო ხელში ბავშივით აიტაცა...

გამოცვივდენ სკოლიდან ჯოტოს ამხანაგები, მასწავლებლები...

— რასა გავს ეს, ამხანაგებო?!—წყენით შეეკითხენ ერთმანეთს ზოგიერთები...

გულწასული ჯოტო თავისუფალ საკლასო ოთახში შეიყვანეს, მერხზე დასვეს და ირგვლივ მეგობრები შემოეხვიენ. ჯოტო ჩქარა გამოერკვა... მოსულიერდა.. .გაკვირვებულმა ამხანაგებს გადახედა და უცებ, თითქო რაღაც მოაგონდაო, სასოწარკვეთით წამოიძახა:

— კოტე, რა გინდა ჩემგან, რას გადამეკიდე!

— რას ამბობ, ჯოტო, რა დამიშავებია?!—ძლივს წაილუღლუღა კოტემ და, თითქო რაღაც დაუშაული იგრძნო, ნაცემი ძაღლივით მოიკუნტა.

— აღარც სიცოცხლისა გამხადე და სიკვდილსაც არ მანებებ? კოტეს გულს მოხვდა ჯოტოს უკანასკნელი სიტყვები, დაფიქრდა დანაღვლიანდა, მასწავლებელს მორცხვად შეხედა და თავი ისევ ჩაღუნა.

„აღარც სიცოცხლისა გამხადე..." გაიმეორა მან თავისთვის და ჯოტოს უბედური შემთხვევის ისტორია თვალწინ წარმოუდგა.

სინდისის ქენჯნა იგრძნო რატომღაც კოტემ... თავი დამნაშავეთ წარმოიდგინა. ჯოტოს მოტეხილ ფეხზე დააკვირდა და... „მე ხომ შემეძლო ფეხი არ გამეკრა ჯოტოსათვის, მაშინ ხომ...

და კოტეს თვალწინ წარმოუდგა მკვირცხლი ჯოტო, ჯოტო, რომელიც ვეფხვი სატომებს აკეთებდა ფეხბურთის სტადიონზე. ცელქობდა და ახცობდა ყველგან და ყოველთვის... ხტოდა, არ ისვენებდა...

დღეს კი...

ჩახუნდარას ჯოტო, კოჭლი, რომელსაც ამხანაგებიც კი სასაცილოდ იღებენ, აჯავრებენ, დასცინიან...

„მე ხომ შემეძლო"... გააგრძობდა ისევ კოტე და მორეულ ფიქრებში გადაკარგული თვალის წამწამებსაც არ ამოძრავებდა ისე იდგა ქანდაკებასავით თვალებდაჭყეტილი...

„მე ხომ შემეძლო უკანასკნელ ტაიმში არ შევპიძოლებოდი ჯოტოს, მით უმეტეს მას შემდეგ, როცა ჩემი გუნდის ბეკმა ულაზათოდ გაიტანა ბურთი ჯოტოსაკენ და უკანასკნელი კი ისე ოსტატურად შეეშველბურთს, რომ... რომ უბედური შემთხვევა არა, ერთე ტაიმიც უეჭველი ჯოტოსი იყო... ჩემი ფეხის გაქნევა კი...

კოტეს გააყრუოლა... ამხანაგებს გადახედა და ისევ ფიქრებს მიეცა...

„დიახ ჩვენში მაშინ შური და ღვარძლი ალაპარაკდა. თუმცა... ჩვენ ხომ შეჯიბრი გვქონდა პირველობაზე და თუ თავგამოდებით ვიბრძოდით მოპირდაპირე გუნდები, ეს ვგონებ, გასაგებიც იყო ყველასათვის.. მამ რას მესაყვედურება ჯოტო. შეეკითხა კოტე თავის თავს და ჯოტოს გადახედა, თითქო პასუხს მისგან ელოდებაო. „მართალია მე შემშურდა ჯოტოს გამარჯვება, მაგრამ... მე ხომ ჯოტოსთვის ფეხის მოტეხა არ განმიძრახავს... მე ხომ... არა, მართალია, შემეძლო ფეხი არ მომეტეხა, შემეძლო არ შევეტაკებოდი ჯოტოს თამაშის ისეთ მომენტში, როცა ჩემი ფეხის გაქნევამდე, ბურთი უკვე ჰაერში მიცურავდა, მაგრამ ეს ხომ მოულოდნელად მოხდა და ყოველგვარი წინასწარი განზრახვის გარეშე... მაშ..."

კოტე მისდაუნებურად აცრემლდა... ლოყები წამოუწითლდა და ყურები გაუცხელდა..

ცალკე ის აწუხებდა, თუ რატომ დასახიჩრდა მისი მიზეზით საუკეთესო ფეხბურთელი, ცალკე კიდევ იმის ბოლმაც ჰკლავდა, რომ ჯოტომ მას სერიოზულად წამოუძახა: „აღარც სიცოცხლისა გამხადე და სიკვდილსაც არ მანებებ"-ო.

კოტე უგუნებოდ შეიქნა...

ფეხბურთი... ფეხის მოტეხა და ჯოტოს დაკოჭლება... ფიქრობდა კოტე,—აქედან კი: ქეთოს დაცინვები, ამხანაგების ლაზღანდარობა, წამოძახილები... და ჯოტოს თვითმკვლელობის განზრახვამდე მისვლა"...

— ვინ არი დამნაშავე, ვინ?! ეკითხება კოტე თავის თავს, მაგრამ პასუხი არსაიდან არ გაისმის მისთვისაც ბუნდოვანი და გაუგებარია დღეს დამნაშავის ნამდვილი სახე..

დერეფანში ხმაურობამ იმატა...



ჯოტოს სურდა გადავარდნა

პიონერკოლექტივში მეცადინეობა მორიგი სხდომისათვის გადასდეს და შინმიმავალმა პიონერებმა ხმაურობით აავსეს სკოლის დერეფანი..

— რა ქნა ჯოტომ?

— ვერ გადახტა?..

— ოა შვილი გადავარდებოდა, რომ...

— ნეტა ახლა რას ამბობს?—ეკითხებოდენ ერთმანეთს შინ მიმავალი პიონერები და ცალი თვალით იმ ოთახში იჭვრიტებოდენ, სადაც ჯოტო იჯდა რამდენიმე მეგობარს და ასისტენტს შორის...

ოთახში თავი შემოჰყვეს მოწაფეებმა... ჯოტოს ცნობისმოყვარე თვალებით გადახედეს...

— ხუთუ მართლა აპირებდა მესამე სართულიდან გადმოხტომას... კითხულობს ერთი.

— გადმოხტომას კი არა გადავარდნას, ბიჭო...

— ერთი შენც გადავარდნას გადახტომა არ სჯობია...

ამერიკაში თურმე ცესამე სართულიდან ხტებიან. ალბათ ჯოტოც ამერიკულად ფიქრობდა გადმოხტომას...

— ადე!

— რა? არ გჯერა?... მოდი, მასწავლებელს ვკითხოთ...

— აბა შინისაკენ, შინისაკენ, ყმაწვილებო, გადახტომაზე კი ხვალ ვისაუბროთ,— არ დატოვა მასწავლებელმა უშენიშვნოთ მათი უკანასკნელი სიტყვები და დერეფანისკენ გასწია.

— რატომ დაგავიწყდათ, რომ ამხანაგის დაცინვა არ შეიძლება... რამდენჯერ მქონია ამ თემაზე თქვენთან საუბარი.

დაბალი მაგრამ სასტიკი გამაფრთხილებელი ხმით მიმართა მასწავლებელმა შინ მიმავალ იმ მოწაფეებს, რომელნიც სხვადასხვა დაცინვით კიდევ უფრო აღელვებდენ ისედაც განერვიულებულ ჯოტოს.

ჯოტოს მახვილ სმენას არ გამოეპარა მოწაფეთა ახალი დაცინვები...

— ეეჰ! როგორ სალაყბოთ გახდა ჩემი საქმე:.. დაიგმინა ჯოტომ და, თითქო თოფი გავარდაო, კოტე ერთ ციდაზე შეახტუნა...

კოტეს ფერმა აუარ-დაუარა კიდევ მეტი უგუნებობა დაეტყო...

„ჯოტოს დასცინიან და მე კი... მე ნერვებს მიშლიან, საკუთარ სიცოცხლეს მაძაგებენ". დაასკვნა მან მოულოდნელად...

*) დასაწყისი იხ. 1—2 ნომერში.

„ჯოტოს დასცინიან, მე კი... მე საე მგონია, რომ ამ დაცინვების მიზეზი ისევ მე ვარ... ამიტომ“...

კოტე აიმღვრა... მასში რამდენიმე გრძნობა ამეტყველდა... რამდენიმე აზრი ერთმანეთს შეეჯახა... და... სირცხვილს რა უყოს კოტემ, სირცხვილს თორემ... კოტემ ფანჯრები დაათვალიერა.

ოთახის სიღრმეში ჩამოშვებულ ელექტრო მავთულს დააკვირდა.

— კოტე რა ცხვირპირი ჩამოგტირის?— შენიშნა კოტეს მასწავლებელმა და განგებ გაღიმებული თვალებით გადახედა. გააცილეთ ჯოტო... შინამდე მიაცილეთ და რაც შეეხება თქვენს დღევანდელ მოქცევასა და ამბებს ამაზე ხვალ უფრო დამშვიდებით მოვილაპარაკოთ... ასე როდი ვარგა, ჩემო კარგო, დაყვავებით მიმართა ჯოტოს მასწავლებელმა,—ვინმე ხულიგანმა, რომ რაღაც წამოიძახოს, რაღაც სისულელე წამოროშოს და თქვენ გამოსავალი თვითმკვლელობაში ეძიოთ?! ეცადეთ, პიონერებმა მეტი აიტანოთ, მეტი გამძლეობა გამოიჩინოთ ყოფაცხოვრების ტკივილების გადამუშავებაში... ერთი სიტყვით ამაზე ჩვენ ხვალ უფრო დაწვრილებით მოვილაპარაკებთ. ახლა კი... დროა შინისაკენ დაიძრათ.

კოტე და ჯოტო წელგათრეულნი დაიძრნენ ადგილებიდან. მათ მიყვენ სხვებიც და ჩქარა ისინი სკოლის ალაყაფის კართან გაჩნდნენ.

— ხვალ ფეხბურთის სტადიონზე ვიქნებით. არ დააგვიანოთ; შემოხვდა მათ გზაში ფეხბურთის ხელმძღვანელი.

— ფეხბურთი?—ნაწყვეტად ამოუშვა ჯოტოს.

— ჰო, მოხვალთ,—არ დააყოვნა ისევ ხელმძღვანელმა.

— ფეხ... ბურ... თი...

ჯოტო ისევ უგუნებოდ შეიქნა... ყავარჯენს დაეყრდნო და ნაბიჯის გადადგმა ვერ მოახერხა...

— ფეხბურთი:.. დაბლა იკითხა კოტემაც და ჯოტოს თვალი მოარიდა... მას თვალწინ წარმოუდგა ჩახუნდარა ჯოტო, რომელიც ყავარჯნით დაფართხალობს ფეხბურთის სტადიონზე, დაფართხალობს და... — ეჰ, საცოდავ ძველი გამოცდილი ცენტრხავბეკი ჯოტო... ჯოტო გოლერია... არა... ვთქვათ თორვარდი... მაგრამ საიდან. როგორ... ცალფეხა ფეხბურთელი ხომ წარმოუდგენელია.. მაშ რა ქნას ჯოტომ... გაუელვა თავში კოტეს და ერთბაშად დაასკვნა: არა მეც უარს ვიტყვი თამაშზე...

— ბიჭებო, რა თავპირი ჩამოგტირით... ხმა ამოიღეთ.—ახმაურდა მოულოდნელად არჩილი და ამხანაგების ყურადღება მიიპყრო—იცით რა? მე ვიცი, თქვენ რა გაწუხებთ...

— აბა რა.—ერთხმად იკითხეს ზოგიერთებმა, მათ შორის კი პირველად კოტემ...

— თქვენ გაწუხებთ ჯოტოს ამბავი... ხო არა ვტყუი ა?

— ჰო. და, ჯოტოს თუ დღესაც აქვს სურვილი ფეხბურთის გუნდში დარჩენის, მაგას შეუძლიაი...

— რა შეუძლია?—არ დააცალა კოტემ არჩილს და სიხარულით სახეგაბრწყინებული პასუხს დაელოდა...

— რა შეუძლია და—განა დაფიქრდა... საჩვენებელ თითზე ფრჩხილები მოიკვნიტა, თვალები თაზროთ შეათამაშა, ენის წვერით ბაგე მოიწმინდა და, რადგან სახელდახელოდ ვერაფერი მოიგონა უმწეობის ნიშნად ნერწყვი ისე გადაყლაპა, გეგონებოდა საკუთარი ენაც თან ჩააყოლაო.—რა შეუძლიან და სახეგაბრწყინებული კოტე ისევ გაუფერულდა, ჯოტო კი ჩვეულებრივზე უფრო უგუნებოდ გახდა...

— რა შეუძლია და არ იმღიდა თავისას არჩილი—ერთი სიტყვით, სტადიონზე ვცადოთ, რა შეუძლია, დაასკვნა მან მოულოდნელად...

— ვცადოთ, მაგრამ... მე ძალიან მეეჭვება რამე გამოვიდეს,—განაცხადა ჯოტომ ისე უგულოდ, ისე მოწყენილად თითქო ეს არის ხუთი ექვსი წლის ბავშვი საყვარელ დედას გამოათხოვესო...

— გამოვა, ჯოტო... უთუოდ გამოვა რამე... დაეიმედეს ჯოტო ამხანაგებმა და შინისაკენ წავიდან.

პიონერკოლექტივში მოაწყვეს ამხანაგური გასამართლება. ხელმძღვანელმა დაწვრილებით მოხსენება გააკეთა პიონერებს შორის შემჩნეულ სამარცხვინო მოვლენებზე, როგორიც არის: დაცინვები—უწმაწური ლანძღვა-გინება, „სიყვარულობიას“ თამაში პიონერთა შორის და პიონერ-ორგანიზაციისათვის შეუფერებელი სხვა საქციელი.

— განა მარტო ჯოტოს დასცინიან?!. წამოიძახა ადგილიდან ქერა ივირდანემ, რომელიც ბავშობიდანვე ელამი იყო და ზედმეტ სახელად „ქეციანს“ ეძახდენ მოწაფეები და, წარმოიდგინეთ მეც ყოველ ფეხის გადადგმაზე მაპამპულებდენ და გიორგისაც.

გიორგის დიდი მეცილი ჰქონდა და მას რატომღაც „იპიანი“ შეარქვა მოწაფეების „სიტყვამოსწრებულმა“ ჯგუფმა.

გაცხოველდა კამათი. საკითხის გარშემო დიდი თუ პატარა ალაპარაკდა მტკივნეულ საკითხებზე და კრებამ დაადგინა:

— გაირიცხოს პიონერკოლექტივიდან ქეთო თარასელია, როგორც გადაგვარებული პიონერი, გაირიცხოს ვახტანგ მეჯირი, როგორც ხულიგანი, და გაფრთხილება მიეცეს ქვემოჩამოთვლილ ამხანაგებს...

ხელმძღვანელმა სია ჩაიკითხა და დასტურის ნიშნად პიონერკოლექტივის წევრებს გადახედა.

— ბიუროს დადგენილება სწორია.— მოიძახეს ერთხმად პიონერებმა და ტაშის ცემით ხელის გულები გაიხურეს.

ქეთო მოწყენილი გამოვიდა სკოლის დარბაზიდან. შემთხვევით თინა შეეჩეხა და ერთბაშად უსაყვედურა:

— ვნახოთ რას მოიგებთ ჩემი გარიცხვით.

თინა ღიმილით შეხვდა ქეთოს, რამაც ქეთო კიდევ უფრო გააღიზიანა.

მე თუ ვისმეს დავცინოდი, განა იმიტომ, რომ...

— რა, შეესიტყვა თინა ქეთოს და პირისპირ დაუდგა...

— განა იმიტომ რომ მე ისინი მეჯავრებოდა?!. ან მძაგდა?! სრულიად არა... მე თუ ჯოტოს დავცინოდი ისე... უბრალოდ, რომ ვთქვათ, გასართობად და დროს მოსაკლავად, თორემ შენ კი იცი. თუ როგორ...

ქეთომ აქ თავი ჩაღუნა... სიცოცხლით სავსე ფეხბურთელი ჯოტო მოაგონდა და ორი მარგალიტი ამოგორდა მისი მაყვალისფერ შავ თვალებიდან.



პიონერ-ბრიგადა ბამბას აწყობს

— ვიცი... მაგრამ დაკვნიტა სიტყვა თინამაც და უნებლიედ გაწითლდა... ჯოტო თინასაც მოაგონდა... ჯოტო ანცი და დაუდეგარი, რომელზედაც თვალი ეჭირა სკოლის უფროსი ჯგუფის ყველა მოწაფეს... თვალი ეჭირა და....

— „ჯოტო მინდა განმარტოვებით შევხვდე“—სწერდენ მას ზოგჯერ ხელმოუწერელ წერილებსაც...

ბევრი ასეთი წერილი გამოიტანეს დღეს საასპარეზზე და ამიტომ იყო, რომ ქეთოს გული ამღვრეული დაიძრა დღეს სხდომის დარბაზიდან.

გულის ფანცქალით ელოდა ჯოტო სტადიონზე გენავარდებას.

— ვნახოთ, რა გამოვა, აიმედებდა ის თავს, თუმცა მასაც არ სჯეროდა, რომ ფეხბურთის თამაშში აქტიურ მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა.

მოახლოვდა სტადიონზე გასვლის დრო, სკოლის და გარეშე მაყურებლები მოგროვდენ სტადიონზე. შემოიპარენ მიუპატიჟებელი სტუმრები, ზოგნი სტადიონის ზღუდეზე, ზოგნი ხის კენწეროებზე ჩიტებივით შემსხდარნი ელოდებიან ბურთის გავარდნას.

— რატომ არ იწყებენ?!

— არ იცი რად აგვიანებენ?—ნერვიულობენ ზოგიერთები.

— რა ვიცი... ამბობენ ჯოტოს ელოდებიანო.

— აგერ ჯოტოც.

ამ დროს ალაყაფის კარებთან გამოჩნდა ჯოტო და როცა მოგროვილ ხალხს თვალი გადაავლო უყავარჯნოდ სცადა სიარული, მაგრამ...

დასახიჩრებული ფეხით მიწას ვერ დასწვდა და უსწორო ქანაობა დაიწყო სიარულის დროს...

სტადიონზე მსაჯმა დაისტვინა.

ყველა გაიტრუნა ბურთის გავარდნის მოლოდინში. გავარდა ბურთი და გუნდები დაუპირისპირდენ ერთმანეთს.

—ჯოტო, შენ?—შეეკითხენ ჯოტოს ამხანაგები.

— არ ვიცი... გოლერობას ვცდი და ვნახოთ... ჯოტომ დაიჭირა გოლერის ადგილი, ყველგან დამარქაფდენ ფეხბურთელები.

გაინავარდა ბურთმა ჰაერში და უცებ, როგორც მოსალოდნელი იყო, ჯოტოს ცხვირწინ წამოელანდა, მაგრამ ჯოტო ველარ ახერხებს წინანდებურად დატრიალებას, ადგილიდან ადგილზე სწრაფ გადახტომას...

შეწუხდა ჯოტო...

შეწუხდა მსაჯიც და...

— აბა ხავბეკობა სცადე, ჯოტო!—ურჩია მსაჯმა გოლერობაში დამარცხებულ ჯოტოს...

ჯოტო ახლა ხავბეკად დადგა სტადიონზე, მაგრამ ვერც აქ შესძლო თავდაცვა და მოტანილი იერიშების სწრაფი მოგერიება, პენალტზე გადასვლა ხომ სულ და საოცნებო გახდა მისთვის.

— ჯოტო... მოესმა მას ოდნავი საყვედური.

კაიფლიანებული და დაღვრემილი ჯოტო შეჩერდა და წრიდან გამოვიდა.

მან უხერხულად იგრძნო თავი ასეთ საპასუხისმგებლო ადგილას უქმად დგომის გამო:.. მაგრამ, რომელი ადგილი არ არის ფეხბურთში საპასუხისმგებლო?!

ამ კითხვამ კიდევ უფრო დაალონა ჯოტო და თავი დაბლა დახარა.

მოიწყინა ერთბაშად გუნდის მთელმა შემადგენლობამ და მაყურებელთა შორის შეიქნა სტვენა და წამოძახილები.

„ფინაჩ“.

„საპოჟნიკ“.

ბურთი ულაზათოდ გაგორდა სტადიონზე, ზღუდემდე შეუჩერებლად იგორა.. შემჩერებელი არავინ არ შემოხვდა დაცალიერებულ სტადიონზე.

ფეხბურთელები ერთად მოგროვდენ.

— რა ვქნათ? — თათბირობენ ამხანაგები.

ჯოტოს ხათრისთვის ხომ გუნდს ვერ დავღუპავთ..

ერთი რომელიმე ადგილას ისეთი სუსტი დამცველი, როგორიც ჯოტოა, ამჟამად, უე ჭველი მარცხის წინამორბედია. ამიტომ.. უნდა შევცვალოთ..

— შევცვალოთ, მაგრამ..

— რა?..

— რომ ეწყინება!

— ეწყინება ვიცი, რომ ეწყინება, მაგრამ სხვა გზა, რომ არ არის.. თუმცა მოიცა.:: ხელმძღვანელი ჩაფიქრდა.

— რა? იქნება რაიმე მოიგონე? — შეეკითხენ ხელმძღვანელს ფეხბურთელები.

— მოდი, ჯოტო ჟიურის თავმჯდომარეთ ავირჩიოთ, თან ფეხბურთთან ახლო კავშირი ექნება და ამით სურვილს დაიკმაყოფილებს, თანაც მაგისთანა ზუსტი მსაჯული ფეხბურთში იშვიათი იქნება.

— კარგია.

— დიდებულია..

— კარგია, დაეთანხმა ამხანაგებს კოტე და თავისუფლად ამოისუნთქა. „იქნებ ამით მაინც დაკმაყოფილდეს ჯოტო“ ფიქრობდა კოტე თავისთვის და ჯოტოს შორიახლო ათვალიერებდა.

— გავაცნოთ ჯოტოს ჩვენი გადაწყვეტილება.

— გავაცნოთ. — დაუდასტურეს ხელმძღვანელს ფეხბურთელებმა.

— რას იტყვი, ჯოტო? — შეეკითხენ ჯოტოს, როცა დაწვრილებით უამბეს ფეხბურთელთა საერთო გადაწყვეტილება.

ჯოტო დაფიქრდა..

— ჟიურის თავმჯდომარე?.. — ძლივს დაილუღლუღა მან ბოლოს და ადგილი მოიცვალა.

— ჟიურის თავმჯდომარეთ.:: ე. ი. „ყურძნის სიყვარულით ღობეს კოცნიდენო“.. არა, ამხანაგებო, მე... დღეიდან ფეხბურთელი აღ—არ. ვ—არ. მე.. სხვა რამეზე უნდა ვიფიქრო... ამიერიდან..

ჯოტო აიმღვრა..: თვალები გაუფართოვდა და ბოლმა-მოწოლილს სლოკინი აუვარდა.

— მე.. ფეხბურთელი აღარ ვა—არ... სლოკინებდა ჯოტო და ყავარჯენს მტრის თვალით უყურებდა.

— მაშინ მეც უარს ვაცხადებ ფეხბურთელობაზე — წამოიძახა კოტემ და ფეხბურთელის ტანისამოსი გაიხადა..

— შენც!?.

— შენ რატომ, კოტე. იკითხა ჯოტომ მოგვიანებით.

— რატომ და...

ახლა კოტეც დარეტიანდა... ჯოტოს ცრემლები გულზე დააწვა და.:.

— აღარც მე მინდა, თუ შენ მიგვატოვებ. —ძლივს მოიბრუნა სული კოტემ და წრე გაარღვია.

მაყურებლები ნერვიულობდენ თამაშის განახლების მოლოდინში, მაგრამ ფეხბურთელები ბურთის ხელახლა გაგდებას აგვიანებდენ *).

პანტ. ჩხიკვაძე

*) ამხ. ჩხიკვაძის მოთხრობა „ჩახუხდარა“-ს თემა აღებულია პიონერთა ყოფა-ცხოვრებიდან. ვამთავრებთ რა ამ ნომერში აღნიშნულ მოთხრობის ბეჭდვას ვთხოვთ პიონერებს მოგვაწოდონ თავიანთი აზრი და შენიშვნები მოთხრობა „ჩახუნდარა“-ს შესახებ, რომლებიც მოთავსდებიან ჩვენი ჟურნალის მორიგ ნომრებში.

ჟურნალ „პიონერი“-ს რედაქცია

# რა არის პოლიტექნიზმი *)

## (საუბარი მეორე)

**როგორი კადრები გვჭირდება?** ცხადია, რომ საბჭოთა ფაბრიკისათვის საჭიროა მუშების და ინჟენრების მომზადება, რაც ძველებურად არ შეიძლება.

სოციალისტურ ფაბრიკა-ქარხნებს სჭირდებათ ისეთი მუშები და ინჟენრები, რომლებსაც არა მარტო კარგად ესმით თავისი დაზგა, არამედ კარგად იციან მთელი წარმოების პროცესიც, კარგად ესმით, თუ რა რისთვის არის საჭირო.

თანდათანობით მანქანა იპყრობს წარმოების პროცესს, და მუშა ცოდნით შეიარაღებული უნდა შეხვდეს ტექნიკის წარმოების ცვლილებებს. ის ისე უნდა იყოს მომზადებული, რომ ადვილად შეეძლოს გადასვლა ერთი სამუშაოდან მეორეზე, ერთი დაზგიდან მეორეზე, დაზგიდან ბრიგადის ხელმძღვანელობაზე. ცეხის ხელმძღვანელობაზე, შემდეგ ფაბრიკის ტრესტის, საბჭოთა სახალხო მეურნეობის სახელმძღვანელოებზე— აი, ასეთი მუშა გვჭირდება ჩვენ.

ეს ცხადია არ ნიშნავს იმას, რომ მუშა, ინჟენერი უნდა იყოს „ყველაფრის მცოდნე“ ასეთები ჩვენს დროში შეუძლებელია—მუშასაც და ინჟენერ ტექნიკოსსაც სჭირდებათ ისეთი ცოდნა, რომლის საშუალებით მათ შეეძლებათ სულ მოკლე ხანში, გაცნობა ახალი საწარმოო მდგომარეობის, გარკვევა და შეგუება შრომის ახალ პირობებთან. ერთი სიტყვით, ისინი უნდა იყვნენ პოლიტექნიკურად მომზადებულნი, ე. ი. მრავალმხრივი ტექნიკური მომზადება უნდა ჰქონდეთ.

მრავალმხრივობა არ უნდა იქნეს ისე გაგებული, თითქოს მუშა უნდა იყოს მეფუსნეც და მეჩექმეც, დურგალიც და ხარატიც.

მრავალმხრივი მომზადება ნიშნავს ტექნიკური პროცესის გაგებას მრავალი მხრიდან, გაგებას თანამედროვე ტექნიკის საფუძვლებისას, მისი მთავარი ძარღვის, მისი საზოგადოებრივი მნიშვნელობას.

პოლიტექნიკური მომზადება იძლევა არა ვიწრო სპეციალობის ცოდნას, არამედ ის უზრუნველყოფს ყოველი სპეციალობის სწრაფ შესწავლას, გაგებას, უზრუნველყოფს შრომის ცვალებადობას.

**დღე მუშა — ხვალ — ინჟენერი.** პირველ ხუთწლედს მოჰყვება მეორე, მეორეს მესამე.

თუ მოზარდი თაობა შეძლებისდაგვარად ეხმარება მოზრდილ თაობას პირველ ხუთწლედის განხორციელებაში, მეორე ხუთწლედს ის ნამდვილი მუშაობით განახორციელებს. დღევანდელი პიონერები მილიონი ბავშვები, ხუთი, ექვსი წლის შემდეგ გახდებიან შოფერები, ტრაქტორისტები, მემანქანეები, თვითმფრინავის მმართველნი, ზეინკლები, ინჟენრები, ტექნიკოსები და სხვა. ამიტომ განსაკუთრებით უნდა ვიზრუნოთ ჩვენი ბავშების პოლიტექნიკურ მომზადებისათვის.

5 წლის შემდეგ პოლიტექნიკური მომზადება კიდევ უფრო მეტად იქნება საჭირო, რადგან ხუთი წლის შემდეგ ტექნიკა უფრო გაუმჯობესებული იქნება, ვიდრე დღეს. წარმოება დამექანიზებული იქნება, სოციალისტურ ქალაქებში მუშები ხან მრეწველობაში იმუშავებენ, ხან სოფლის მეურნეობაში, დაზგასთან და კომბაინთანაც. დღეს ფიზიკური შრომა ძალზე განსხვავდება გონებრივი შრომისაგან. ერთნი ხელებით მუშაობენ, მეორენი კი თავით. ასე იყო, ასე არის, მაგრამ ასე არ უნდა იქნეს მომავალში.

ყველამ უნდა იმუშაოს თავითაც, ხელებითაც, გონებრივად და ფიზიკურადაც.

აქეთკენ მივდივართ და ამის დაჩქარების საქმეში უნდა დაგვეხმაროს პოლიტექნიკური განვითარება.

რას ამბობდა **მარქსი** პოლიტექნიზმისა და პოლიტექნიკური სკოლის შესახებ.



ბათომი—ნავთის გადასამუშავებელი ქარხანა

*) დასაწყისი იხ. 1—2 ნომერში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარქსის აზრით პოლიტექნიკურმა სკოლამ უნდა ჩამოაყალიბოს და ჩააბას ბავშვები და მოზარდნი საკავშირო შრომაში, გააცნოს თანამედროვე ტექნიკის თეორიის და პრაქტიკის საფუძვლები; ასწავლოს ყოველი წარმოების ელემენტარული იარაღების მოვლა - გამოყენება, ასწავლოს თავით და ხელებით მუშაობა, გატარდეს საერთო და ფიზიკური განათლება საწარმოო შრომასთან დაკავშირებით.

ამავე დროს **მარქსი** სწერდა, რომ: **სანამ კაპიტალიზმი არსებობს, მუშებს ასეთი სკოლის აშენება არ შეუძლიათ, მხოლოდ პროლეტარულ სახელმწიფოში შეიძლება ფართოდ იქნეს დაყენებული მოზარდი თაობის პოლიტექნიკური აღზრდა.** პირველი ღონისძიებანი სოც-რევოლიუციის, სწერდა **მარქსი** სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვანაირი იქნება, მაგრამ ყველგან კი იქნება მიღებული შემდეგი ზომები: ყველა ბავშის საზოგადო და შრომითი აღზრდა თანამედროვე ფორმების აღკვეთა, ე. ი. ექსპლოატაციისაგან დაცვა, აღზრდის დაკავშირება საწარმოო შრომასთან.

შრომაში მონაწილეობა უნდა იქნეს საფუძველი ყოველგვარი აღზრდისა და განათლების.

**მარქსის** გენიალური მოწაფე, **ლენინი** თავის რევოლიუციონურ მოღვაწეობის დასაწყისშივე მიუთითებდა საერთო განათლების წარმოებითს შრომასთან დაკავშირების უდიდეს მნიშვნელობაზე.

ის 1897 წ. სწერდა:

**„შეუძლებელია მომავალი საზოგადოების იდეალის წარმოდგენა ახალგაზრდა თაობის სწავლის წარმოებითს შრომასთან- დაუკავშირებლადღ“**

არა მარტო წარმოებითი შრომა, არამედ შრომა პარალელურ აღზრდისა და განათლების.

კომუნისტური პარტიის პროგრამაშიც არის ამ საკითხზე დაწერილი:

**„უფასო და სავალდებულო საზოგადო და პოლიტექნიკური განათლების გატარება ორივე სქესის ყველა ბავშვებისათვის 17 წლის ასაკამდე“.**

„განხორციელება ერთიანი შრომის სკოლის და საზოგადო საწარმოო შრომის მჭიდრო კავშირისა მოამზადებს კომუნისტური საზოგადოების განვითარებულ წევრებს“. ამგვარად ჩვენ გავარკვიეთ, თუ რა ჰქონდათ წარმოდგენილი პოლიტექნიკური სკოლის სახით **მარქსსა და ლენინს.**

ამის შესახებ არის ნათქვამი კომუნისტური პარტიის პროგრამაშიც.

პოლიტექნიკური სკოლა ეს **ისეთი** სკოლაა, რომელიც აღზრდას და განათლებას საწარმოო შრომასთან აკავშირებს. აცნობს თეორიას და პრაქტიკაში წარმოების ძირითადი დარგების საფუძვლებს;



პიონერები სამკერვალო ქარხანაში

გვასწავლის ყველა წარმოების უბრალო იარაღების გამოყენებას;

ამზადებს კომუნისტურ საზოგადოებისათვის ყოველმხრივ განვითარებულ წევრებს.

აი ასეთი სკოლისათვის უნდა ვიბრძოლოთ და კიდეც იბრძვიან პარტია, კომკავშირი და პიონერ-ორგანიზაცია.

— რატომ დღემდე არ გვქონდა პოლიტექნიკური სკოლა?

— რატომ მხოლოდ რევოლიუციის მე-13 წელს დავიწყეთ ნამდვილად, დაბეჯითებით ლაპარაკი პოლიტექნიკურ განათლებაზე?

— რატომ ახლა ვცდილობთ მთელი ბავშვების მობილიზაციას პოლიტექნიზმისათვის საბრძოლველად სკოლაში, კლუბში და პიონერებში.

აი რატომ:

რევოლიუციის დასაწყისში სკოლის შესახებ დეკლარაციაში ამხ. **ლუნაჩარსკი** სწერდა:

**„ახალი სკოლა მჭიდროდ დაუკავშირდება მეზობელ წარმოებებს და წაიყვანს მოწაფეებს ფაბრიკა-ქარხანაში, რკინის გზებზე და ყველგან, სადაც ადგილობრივი პირობების მიხედვით გვექნება საშუალება მივწვდეთ, — წაიყვანს საექსკურსიოდ— არა დასათვალიერებლად, არამედ სამუშაოდ“.**

მაგრამ არაფერი ამგვარი არ მომხდარა. სკოლა არ დაახლოებია ფაბრიკას, ბევრ სკოლას არ დაჰყავდა ბავშვები ფაბრიკაში საექსკურსიოდ, დასაწყისში ამის მიზეზი ის იყო, რომ მთელი ქვეყანა სამოქალაქო ომის ალში იყო გახვეული. საჭირო იყო მოგერიება მემამულეების, კაპიტალისტების და მათი დამქაშების. საჭირო იყო ოქტომბრის მონაპოვარის დაცვა. ომის გამო მრეწველობა დაეცა. ფაბრიკა - ქარხნები შეჩერდა და სკოლებისთვის არავის ეცალა სოფლადაც ასეთივე სურათი იყო. თვითონ სკოლები ომის გამო არ მუშაობდენ, იყო სიცივე და შიმშილი, არ იყო წიგნი, არ იყო ქაღალდი, ფანქრები და მელანი. ამიტომ ასეთ პირობებში აზრადაც არავის მოდიოდა სწავლის საწარმოო შრომასთან დაკავშირება.

ომის შემდეგ წლებ მოუნდა დანგრეულ ფაბრიკა - ქარხნებსა და გზების აღდგენას. მოყავდათ წესრიგში სკოლებიც. შეიქმნა პიონერ ორგანიზაციაც 1922 წელს, რომელიც სწრაფად იზრდებოდა და მაგრდებოდა, გამოაცაცხლეს სკოლა, სადაც საზოგადოებრივ მუშაობა სუსტათ მიმდინარეობდა. 1923 წელს საზოგადოებრივ - სასარგებლო მუშაობას სკოლების ძლიერ მცირე რიცხვი ეწეოდა. 1924 წელს საქმე კიდევ უფრო სუსტად მიდიოდა; 1925-26 წელს კი მას მიეცა ფართო გასაქანი.

ასე იყო საქმე დაყენებული ჩვენი ქვეყნის მთელი მეურნეობის გადაკეთებასთან და მოწინავე ტექნიკის დახმარების ახალ ფორმებზე გადასვლამდე, რეკონსტრუქციის პერიოდამდე.

დღეს კი საერთოდ შეიცვალა და შეიქმნა ლაპარაკი პოლიტექნიკურ განათლებაზე.

ამ შემობრუნების შესახებ ნ. კ. კრუპსკაია თავის მოხსენებაში 1929 წლის გაზაფხულზე, სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე შემდეგს ამბობდა:

**„მეურნეობის გადაკეთების, რეკონსტრუქციის საქმეში უდიდეს როლს თამაშობს მასების პოლიტექნიკურად განვითარება. ჩვენი ქვეყანა აქამდე სამრეწველო დარგში ჩამორჩენილი ერთ-ერთი ქვეყანა იყო. ახლა ის მიდის ინდუსტრიალიზაციის გზით და საუკუნეებით შესისხლხორცებული შრომის წარმოების ჩვევები კვდება მეცნიერების უკანასკნელ სიტყვის საფუძველზე“.**

**ნ. კ. კრუპსკაია** ყველაზე უფრო თავდადებული მებრძოლია ახალი თაობის პოლიტექნიკური აღზრდის საქმეში, ის თავდაუღალავად იბრძოდა 1917 წლიდან 1929 წლამდე და მასთან ერთად აღსანიშნავია ისიც, რომ კომკავშირი ყოველთვის უჭერდა მას მხარს სკოლის პოლიტექნიზაციის საქმეში.

(გაგრძელება შემდეგ №-ში).

# პოლიტპატიმართა წამება პოლონეთში

პოლონეთიდან მიღებული ცნობით, **ბრესტში**, დაკითხვის დროს, საიდუმლო პოლიციაში გააუპატიურეს და აწამეს ახალგაზრდა ქალი, რომლის გვარიც ჯერ კიდევ არ არის გამორკვეული. პილსკში ღამით ერთი პოლიტპატიმარი ქალი წაიყვანეს სასაფლაოზე, გაატიტვლეს და ყელამდე ჩაფლეს, თანაც ემუქრებოდენ, რომ თავითაც ჩაფლავდენ, თუ არ მიაწვდიდა საიდუმლო პოლიციას საჭირო ცნობებს, ივანცევიჩში, დაკითხვის დროს, დაპატიმრებულებს ბოთლებით ასხამდენ შარდს ცხვირში, ამის გამო **ბრესტში** ვენერიული სენი შეეყარა ძველ რკინისგზელს, ანტიფაშისტური სიის კანდიდატს.

საპატიმროებისათვის შემოღებული ახალი რეგლამენტი პოლიტპატიმრებს უთანასწორებს სისხლის დამნაშავეებს. რეგლამენტის თანახმად, ინტელიგენტებს აშორებენ მუშებს, მუშებს - გლეხებს, ხოლო პოლონელებს, — უკრაინელებს, ბელორუსებს, ებრაელებსა და გერმანელებს, რომ ამით დასთესონ ეროვნული შუღლი დაპატიმრებულ რევოლუციონერებს შორის. მთავრობა ახდენს საპატიმრო ადგილების მილიტარიზაციას, რისთვისაც უფროსებად ნიშნავს პოლკოვნიკებს. განსაკუთრებით გამოირჩევა პეტროკოვსკის სატუსაღო, სადაც წესად არის შემოღებული პოლიტპატიმართათვის დამამშვიდებელი პერანგის გადაცმა და ცივი წყლის გადასხმა.

ფაშისტური რეგლამენტის შემოღების წინააღმდეგ პროტესტის განცხადების საპასუხოდ სცემეს ტარნოვის სატუსაღოებში (ზემო - სილეზია) დამწყვდეულ ტუსაღებს. სცემეს აგრეთვე 65 დაპატიმრებულს ლიუბლინის საპატიმროში, პროკურორის თანდასწრებით და საპყრობილის უფროსის აქტიური მონაწილეობით. ქალთა სატუსაღოში (ვარშავაში) ადმინისტრაციამ შემოიღო პოლიტპატიმარი ქალების საექიმო შემოწმება, რაც, არსებული წესით, მხოლოდ მეძავეებისათვის არის სავალდებულო.

**ლუცკის სატუსაღოში წამების ფაქტების გამოაშკარავებამ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა პოლონეთის საზოგადოებრიობის მეტად ფართო წრეებზე.**

ვრცელდება ხელით გადაწერილი პატიმართა წერილების ასლები. ღია საპროტესტო წერილით პოლიტპატიმართა წამების წინააღმდეგ გამოვიდა მემარცხენე საზოგადო მოღვაწეთა ჯგუფი. ღია წერილში დაწვრილებით არის აღწერილი ცნობილი ფაქტები და ჩამოთვლილია პოლიციის იმ აგენტების გვარები, რომლებიც ამ წამებას ხელმძღვანელობენ, აგრეთვე წამების მსხვერპლთა გვარები. „ჩვენ **არ ვიღებთ მონაწილეობას თვალთმაქცურ საპროტესტო კამპანიაში ბრესტის წინააღმდეგ, — ნათქვამია ღია წერილში, — ბრესტის გარშემო ატეხილი განგაში, დაწყებული პოლონეთის ბურჟუაზიის სახელის გადასარჩენად, არა თუ მიზნად ისახავს ბრძოლას თეთრი ტერორის წინააღმდეგ, რაც ამჟამად საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ საომარი მზადების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, არამედ, პირიქით, ცდილობს ჩამოაშოროს ყურადღება ამ თეთრ ტერორს. ჩვენი წერილი წარმოადგენს საბრალდებულო აქტს, რომლის მიხედვითაც საბრალდებულო განაჩენს გამოიტანს თავისი განთავისუფლებისათვის მებრძოლი პროლეტარიატი“.**



რიონჰესის საგუბარი

# უცხო ელემენტი

აი, ამასწინ კრებას ვთათბირობდით,
სმენა უზომოდ მოვიმარაგეთ.
ყოფა-ცხოვრების საკითხი იდგა,
ბევრსაც ვდაობდით.
ახალგაზრდებმა გამბედაობით
აქ სათითაოდ ილაპარაკეს.
აგერ ჩამოდგა წელში გამართვით
მოსაუბრეთა რიგში ბარამი,
ის მონაწილე არის კამათის,
როგორც არცერთი როგორც არავინ.

— : —

პრაზი მაწვება როდესაც ვხედავ
სულ სხვა ელემენტს
ვაზნით დატენილს,
პარტიზანების სისხლსაც კი ლევდა
აგვისტოს ღამეს
სხვებთან აზრებით ობივატელი.
თუმცა აგვისტო ჩაკლეს ძარღვებში,
და მოგონება გაყვა ოხშივარს
გახსოვს—უწოდე ჩვენებს ძაღლები.
როს მოგვეპარე წელში მოხრილად.
ჰა, დამარცხება ძალზე იგემე,
შიში გაკრთობდა წელის გათელვის
არ გამომჩნდარხარ შენ იმის მერე
და არც გინახავს ჩვენი სოფელი.
სიტყვით ქედმაღალ ქვებს აყირავებს,
უჯროედი შენგან ბევრსაც მოელის
ალბათ არ იცის შენი სიავე
და გიცნობს ისე როგორც მშრომელი.
არაფერს ნიშნავს კრების წინაშე,
უხვად გიწვიმდეს სიტყვების ბანდა,
ქალის მიმოხვრა ქალის სინაზე.
თვითონ განცდებში გადაგიბანდავს.

— : —

შენ ფუქსავატებს გრძნობას შეალევ
და თავადურსა მიყვები წესებს,
შენს სამუშაო თემას შეადგენს
მეშჩანი ქალებს უწერდე ლექსებს.
უნდა ვებრძოლოთ მავნე გადახრებს,
გადასაწყვეტი დგას ამოცანა,
სოფლად სიძველე უნდა გადახმეს,
კოლმეურნეთა მოვედოთ ყანას.

— : —

შენც მოისურვებ სოფელში მოხვდე,
ახკომკავშირის მანდატს ატარებ,
მაგრამ წარსული კვალდაკვალ მოგდევს
და გაგილიმებს სოფელი მწარედ.
ასეა მუდამ როცა არ ვიცით
თუ რა ელემენტს იტევს რიგები;
უნდა იცოდე არვინ დაგინდობს
და შენ უდავოდ გაირიცხები.

**გრიშა ესებუა**

## რედაქციის შენიშვნა

1) 1931 წ. ჟურნ. პიონერის № 1-2-ში წერილი „სისხლიანი კვირა და 1905 წლის რევოლიუციის“ მხატვრული ილიუსტრაცია „1905“ ეკუთვნის მხატვარ თამამშევას და არა ალდადანოვას.

2) ამავე ჟურნალის 23 გვ. წერილი „იბრძოლეთ პოლიტექნიზმისთვის“ ავტორი ა—ძე, უნდა შეიცვალოს „თ—ნი“ (თარგმანი).

# ნ ა რ ე ვ ი

## ბამბის საკრეფი მანქანა

ამერიკის ბაზრებზე გამოვიდა გასაყიდათ ბამბის საკრეფი ახალი მანქანა. ამ მანქანის საშუალებით შეიძლება ბამბის კრეფა მექანიკურად. მანქანა ძალიან მსუბუქი და მჭიდროა. მოწყობილია სამ ბორბალზე და შეუძლია იაროს კედლებში. მანქანას ამოქმედებს გაზოლინის პატარა ძრავი და შეუძლია მისი მართვა. მანქანის დანიდან გამოდის გრძელი ტოტი, რომელზედაც მიმაგრებულია თავი და რომლის საშუალებითაც ხდება ბამბის მოკრეფა. თავზე მიმაგრებულია ხელთათმანი, რომელშიაც მექანიკოსი შეჰყოფს ხელს და მანქანას აამოქმედებს. თავში მოწყობილი მექანიზმი ამოსწიწკნის ბამბის მცენარის ბუდიდან ბამბას და ჩაუშვებს ტოტის მილში.



მანქანას დართული აქვს ტუმბო, რომელიც ტუმბავს ჰაერს ტოტიდან და თან მიაქვს ბამბაც, ბამბა ეცემა ტოტის ბოლოზე მოწყობილ მავთულებისაგან გაკეთებულ ცხრილს და შიგ გადის მხოლოდ გაწმენდილ ბამბის ბოჭკოები. ფურცლები, მტვერი, ტალახი, და სხვა რჩება იქით. ცუდ დარში ბამბის ხელით მოკრეფა შეუძლებელია. ამ მანქანით შეიძლება კრეფა ცუდ დარშიაც. ბამბა იკრიფება ყუთში და დრო გამოშვებით უნდა ამოიღოთ. თუ სამუშაო ბევრია და საჩქარო მანქანაზე ამაგრებენ მეორე ტოტსაც, და მაშინ ორი კაცი მუშაობს.

## იოდი დაღესტანში

იოდი ძალიან საჭირო ნივთიერებაა, და საბჭოთა კავშირს არ ჰყოფნის იგი, მისი შემოტანა კი ძვირი ჯდება. ამიტომ მუშურ - გლეხური სახელმწიფო — ცდილობს გაადიდოს საკუთარი იოდის მოპოება, რისთვისაც უკვე გადადგმულია სათნადო ნაბიჯი. იოდი ბლომად არის ზღვის წყალმცენარეებში, ეს ნედლი მასალა კი საკმაოდ აქვს საბჭოთა კავშირს.

ძალიან ძვირფასი რამ არის ნავთი და, ვინაიდან დაღესტანის სამხრეთ-აღმოსავლეთის ნაწილში, რომელიც კასპის ზღვის პირასაა, ნავთის ნიშნებია მიწის ზედაპირზე, იქ გეოლოგიურ გამოკვლევებს აწარმოებენ. 1930 წლის ივლისში ამ რაიონში გათხარეს მიწა 675 მეტრის სიღრმეზე — ეგონათ, რომ ჭაბურღილიდან ნავთის შადრევანი ამოხეთქდა, მაგრამ ნავთის ნაცვლად მინერალური წყლის შადრევანმა ამოხეთქა. ამ წყლის ტემპერატურა 55°C უდრის. ძალიან საწყენი იყო ეს ამბავი იქ მომუშავეთათვის, მაგრამ მალე შენიშნეს, რომ მიწიდან ამოხეთქილ ცხელ წყალში იყო რაღაც მაგარი ნივთიერება, რომელიც უცბად დაილექებოდა. ანალიზმა დაათელჰყო, რომ ამ წყლის მინერალურ შემადგენლობაში იოდიც არის.

იოდიანი ჰეიზერის სიმაღლე 12 მეტრია. უკვე გამოიანგარიშეს, რომ დღე-ღამეში ამ ჰეიზერს 700 კილოგრამი იოდი ამოაქვს, ასე, რომ წელიწადში ეს ჰეიზერი მოგვცემს 250000 კილოგრამ იოდს.

საბჭოთა ხელისუფლებამ უკვე მიიღო ზომები, და მალე დამუშავდება იოდის ქარხნის პროექტი. ამ ქარხნის სასწრაფოდ აგებას დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან იოდი ჯერჯერობით ისევ საიმპორტო საქონელია.

## საპონი ნავთისაგან

ქონის და საზოგადოდ, ცხიმეულების სიმცირემ ბევრი ისეთი წარმოება გამოიწვია, რომელიც აძლევს ადამიანს საშუალებას არ დაიკლოს ცხიმეული საჭმელისათვის.

საპონის გასაკეთებლად დიდ ძალი ქონი იხარჯება. აი ამ მხრივ დიდი დახმარების გაწევა შეუძლია ნავთის წარმოებას.

ნავთი შესდგება ნახშირწყალმბადის ნარევებისაგან, ე. ი. ნახშირობამდის სხვადასხვა შეერთებულ ელემენტებისაგან და წყალმბადისაგან; ხანდახან ამათ ერევა სხვადასხვ ქიმიური ელემენტები. მგალითად, მჟავბადიც. მჟავბადი ნახშირბადს თუ შეიძლება აქცევს ქიმიურ ნივთიერებად, რომელსაც ნავთის სიმჟავე ჰქვია, ნავთის სიმჟავე კი ტუტაზე ისეთ ზეგავლენას ახდენს, რომ საპნად იქცევა, ისე, როგორც რკინა ანუ სპილენძი, როდესაც გოგირდმჟავას უერთდება, აჩენს მარილს, რომელსაც შაბიამანი ჰქვია.

უკანასკნელ დრომდე ამ წარმოებას არ ექცეოდა ჯეროვანი ყურადღება 1930 წ. ს.ს.რ.კ. სმუსის გეგმით, უნდა გამომუშავებულიყო ნავთსაპონი 15 ათას ტონის რაოდენობით 1931 წ. კი წარმოებამ ორჯერ უნდა იმატოს.

## მრავალსართულიანი გარაჟი

ავტომობილების რიცხვი ძალიან მატულობს ამ [illegible] დროს. ამის გამო იძულებული [illegible] გამოენახათ ისეთი საშუალება, რომ ბევრი ადგილი არ დასჭირებოდათ გარაჟების მოსაწყობათ. განსაკუთრებით საჭირო გახდა ეს ამერიკის შეერთებული შტატებისათვის, სადაც ბევრი მუშა და მოსამსახურე ავტომობილებით სარგებლობს სამსახურში სასიარულოდ, რადგანაც თვითონ ქალაქგარედ სცხოვრობენ და რამდენიმე კილომეტრით დაშორებული არიან საწარმოოს, ამიტომ აშენებენ იქ რამდენიმე სართულიან გარაჟს. მთელი გარაჟი ლითონისაგან არის გაკეთებული და აქვს ლითონის მრავალი ბაქანი ავტომობილის ასაწევად. შენობის ყოველ კუთხეში ბორბლებზე მთლიან ჯაჭვით არის გამაგრებული ეს ბაქანი და. როდესაც საჭირო ხდება, ამოძრავდება ელექტროძრავის საშუალებით: დააჭერენ თითს კნოპს, ელექტროძრავი ამუშავდება და ერთ-ერთი თავისუფალი ბაქანი დაეშვება მიწაზე და როდესაც ავტომობილი შედგება ზედ, აიწევა და გაჩერდება თავისუფალ სართულში, როდესაც ავტო სჭირდება პატრონს, ისევე კნოპის საშუალებით ჩამოუშვებენ ავტომობილიან ბაქანს.




რედაქტორი: სარედაქციო კოლეგია.

მთავლიტი № 1682. სტამბა „კოლექტივი“ შეკვეთა № 461 ტირაჟი 5500

ეროვნული ბიბლიოთეკა



# უცნაური ამბები ხდება ცაში

მეტეორები,
პლანეტები,
ვარსკვლავები,
კომეტები და

## თვით მთვარეც საეჭვოდ იქცევიან

## ვინ არის დამნაშავე? გამონახეთ დამნაშავე.

**პასუხს მათი მოქმედების შესახებ იპოვნით ჩვენი ჟურნალის შემდეგ ნომერში.**


ახლა კი გაცნობებთ ხელმოწერის ფასს ჟურ. „პიონერ"-ზე

| | | |
|---|---|---|
| წლით . . . . . . | 4 მან. | |
| ექვსი თვით . . . . | 2 „ | 20 კ. |
| ცალკე ნომერი . . | | 20 კ. |

ამხ. პიონერებო, მოსწავლეებო,
დააჩქარეთ ხელმოწერა
ჟურნალ „პიონერ"-ზე

ხელმოწერა მიიღება პერიოდ სექტორში (რუსთაველის პრ. № 30) და სახელგამის ყველა მაღაზიაში.